



ილორი



№ 46 (109) 22 დეკემბერი 2009 სანაღსო მთარაობა "სამეგრელოს" ტრანსი 50 თმთრო



ИОСИФ ВИССАРИОНОВИЧ
СТАЛИН

1879 წლის 21 დეკემბერს დაიბადა იოსებ ბესარიონის ძე სტალინი
**იოსებ სტალინის
დაბადებიდან 130 წელი
გავიდა**

ლავრენტი 4 ბერია — ქართული გენია



გაზეთი "ილორი" უკვება რუბრიკას "ათი საუკეთესო კლუბი"



"ატლეტიკო"
მადრიდი,
ესპანეთი


12

რას ამბობდნენ სტალინზე

"მასში თავმოყრილია სახელმწიფო მოღვაწის, იულიუს კეისრის ჭკუა, მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, მაკედონელის მხედართმთავრული გენია, ციცერონის მჭერმეტყველების დამაჯერებლობა და აზრის გამოხატვის სისწრაფე, მაგრამ სტალინი ყოველ მათგანზე უფრო მაღლა დგას, გაცილებით მაღლა, რადგან მასში მოქცეულნი არიან ყველა ერთად აღებული".
პაბლო პიკასო

სტალინი: "ღმერთის მათრახი"... 8

ბორიზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა აღაგმეს.



9

1879 წლის 21 დეკემბერს დაიბადა იოსებ ბესარიონის ძე სტალინი იოსებ სტალინის დაბადებიდან 130 წელი გავიდა

56 წლის წინ, 1953 წელს გარდაიცვალა მსოფლიოს ისტორიაში უდიდესი პოლიტიკური, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე იოსებ ბესარიონის ძე სტალინი. მაშინ იგი 73 წლისა იყო.

კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პიროვნების, იოსებ ბესარიონის ძე სტალინის სახელთან მრავალი ლეგენდა, სიცრუე და სიმართლეა დაკავშირებული. ყველაფერი რომ გაირკვეს, უნდა ვილაპარაკოთ მთელ ეპოქაზე, რაც ცხადია, ძალიან ძნელია. გარკვეული დანტერესებული წრეები ათწლეულებით კიბინებენ სტალინის პოლიტიკური ნაკლის შესახებ. ღვინვა თავის პოლიტიკურ "ანდერში" ხაზი გაუსვა ქვეყნისა და პარტიის მაშინდელ ნაკლს. მან მხოლოდ ერთადერთ პიროვნებას ვერ აღმოუჩინა ის და მართოდ მის პირად ხასიათს შეეხო, რაც არ არის და ვერც იქნება სტალინური ხასიათის ზიანის მომტანი – ბოლო პერიოდის ისტორიის გადახედვისას იკვეთება აზრი, რომ ი. სტალინი უშუალოდ და აქტიური მონაწილე იყო 1937 წლის მოვლენებისა, სინამდვილეში ცნობილია, რომ საბჭოების მე-8 ყრილობაზე სტალინმა უარყოფითი შეფასება მისცა 1937 წლის გაუმართლებელ რეპრესიებს და მისი პირადი ბრძანებით გაანთავისუფლეს პატიმრობაში მყოფი ათასობით უკანონოდ დაპატიმრებული ადამიანი. ამ საკითხზე საინტერესოა ღვინვის თანამებრძოლის ელენა სტასოვას აზრი. იგი, მიუხედავად თავისი ანტიპატიისა სტალინის მიმართ, თვლიდა, რომ "არ შეიძლება სტალინს დაეკისროს გაუმართლებელი რეპრესიებისა და პატიოსანი ადამიანების განადგურების პირდაპირი პასუხისმგებლობა". იგი აღწევს იმას იყო ხრუშჩოვის გამონათქვამებით და "უპასუხისმგებლო ავანტიურისტს" უწოდებდა მას.

იოსებ სტალინს ახასიათებენ როგორც გულცივ და უსულებლო ადამიანს და მაგალითისათვის მისი უფროსი შვილის, იაკობის ტრაგიკულ ბედს ასახელებენ, რომელიც გერმანელთა ტყვეობაში დაიღუპა. გერმანელებს მისი გაცვლა სურდათ სტალინგრადად ტყვედნაგარდნილ ფელდმარშალ პაულიუსში, რაზეც სტალინმა მათ შეუთვალა – "ჩვენ გენერალს ჯარისკაცში არ ვცვლით!" მაგრამ გარდა ახლოვლებისა და მომსახურე პერსონალისა არავინ იცოდა, რომ იაკობის დაღუპვის შემდეგ სტალინს ტანიდან შავი პერანგი არ მოუშორებია და განა სხვისი შვილების ბედი არ აღეგნებდა?

ყოფილ უსაფუძვლო მტკიცება, რომ სტალინი ყოველთვის ერთპიროვნულად წვეტდა სახელმწიფო საკითხებს და სხვათა აზრს არ უსმენდა. ამის შესახებ მართალი ეუკოვი წერს: "სტალინი, როგორც მე ომის ხანგრძლივი წლების მანძილზე დავერწმუნდი, სრულიადაც არ იყო ის ადამიანი, რომლის წინაშეც საკითხის დასმა, დავა და თვით საკუთარი თვალსაზრისის მტკიცე დაცვა არ შეიძლებოდა".

ხრუშჩოვი ხაზს უსვამდა სტალინის სამხედრო საქმეში სრულ უცოდინარობას. ეს რომ ასე არ გახლავთ, უამრავი ფაქტით დასტურდება. მაგალითისათვის მოვიყვანო მხოლოდ ერთი – პიტლერმა ძალიან კარგად იცოდა, რომ სტალინი უდიდესი სტრატეგი და ტაქტიკოსი იყო და სწორედ ამიტომ მისწერა მას 1942 წლის 13 იანვარს შემდეგი შინაარსის წერილი:

"იბ. სტალინი! ...დიდად ვაფასებ თქვენს მხედართმთავრულ ნიჭს და ძლიერ გამბედაობას, მაგრამ ქართული ბრძანებით და გირჩევთ დღესვე გადაბრძანდეთ საქართველოში, სადაც ამერიკიდან იმეფებით თქვენ და თქვენი მომავალი. თუ ჩემს კეთილ რჩევას არ მიიღებთ, მოგივარცხნის ცეცხლი და მახვილი... სულ 40 კილომეტრი დამრჩა მოსკოვამდის. ადოლფ ჰიტლერი".

საყურადღებო და ნიშანდობლივია სტალინის პასუხი ამ წერილზე: "ადოლფ ჰიტლერს! ...მადლიერი ვარ დაფასებისათვის... დიახ, მე ქართველი

გახლავარ, მაგრამ გამზარდა რუსმა ერმა და ჩვენთან არსებული ჩვეულებების მიხედვით უფლება არა მაქვს მივატოვო გამზრდელი განსაცდელის ჟამს – მელოდეთ ბერლინიში.

იოსებ სტალინი".
უინსტონ ჩერჩილი წერდა: "სტალინი იყო გენიოსი, ერუდიციის, შეუდარებელი ნებისყოფის, იუმორისა და სარკაზმის დიდი ვრძობის კაცი. ყველა დროისა და ხალხის სახელმწიფო ხელმძღვანელთა შორის განუმეორებელი და შეუდარებელი."

ფრანკლინ რუზველტი არაერთხელ აღნიშნავდა სტალინის განსაკუთრებულ დამსახურებას მეორე მსოფლიო ომში, ხოლო პარიზის, რომელსაც, როგორც აშშ-ს ელჩს ახლო ურთიერთობა ჰქონდა სტალინთან, წერდა: "სტალინი მრავალფეროვან განსხვავებულად ღრმა ცოდნით, დეტალებში წვდომითა და ცოცხალი აზროვნებით".

ისმის კითხვა – რატომ მაინც და მაინც ძირითადი დარტყმების სამიზნე სტალინი გახდა? აქ პასუხი ცალსახაა: სტალინი იცავდა სოციალიზმის იდეებს, ებრძოდა ტროცკიზმს და სხვა ანტისოციალისტურ მიმდინარეობებს, რომელთა ძირითადი მოთხოვნები, მრავალპარტიულობა და კაპიტალისტური სისტემის აღდგენა იყო. დღევანდელი "დემოკრატები" ხომ სწორედ ამ გზით მიდიან. ამას კი სტალინი არ დაუშვებდა. აი, რატომ მოექცა განსაკუთრებული დარტყმის ქვეშ სტალინის სახელი.

"დიდი შეცდომა იყო სტალინის მოსპობის გზა. ამით საბჭოთა კავშირს დიდი ზიანი მიაყენეს. ეს შეცდომა მომავალშიც გამოიღებს ნაყოფს" – წინასწარმეტყველურად წერდა ვიანესლავ მოლოტოვი.

სტალინი არ გახლდათ ხრუშჩოვის-ნაირი მარტივი აზროვნების პიროვნება, რომ თავისი სიკვდილის შემდგომი მოვლენები არ განეჭვრიტა და ამბობდა: "დიახ, ბევრი შეცდომა და სიძნელე გექონდა. ვიცი, ყველაფერს მე დამაბრალებენ და ჩემს სამარეს ნაგავი დაფარავენ. არა უშავს, ისტორიის ქარი, დროთა განმავლობაში გაფანტავს ნაგავს".

ცნობილი რუსი ლიტერატორი მიხეილ ლობანოვსკი, რომელმაც გამოსცა კრებული "სტალინი", პირველად აღნიშნავს: "ნამდვილად, მე არა ვარ ისტორიკოსი, მით უმეტეს – პოლიტოლოგი და არც ადრე მიფიქრია დამეწერა სტალინიზე, მასზე არც პანეგირიკებს ვწერდი, არც მხილებებს. როგორც ჩანს, ნაადრევი იყო ელემენტი არსებითი სტალინიზე, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ამის დრო ახლა დადგა. სამწუხაროდ, ძალზე გვიან. ის, რომ დრომ მოიტანა ჩვენი სახელმწიფოს განადგურება, რომლის დიდი მშენებელი სტალინი იყო, შემთხვევითი არა ყოფილა. გარდაქმნის დაწყებისთანავე დაიწყო ახალი არნახული შეტევა სტალინიზე. ეს შეტევა არსებითად უფრო ჩვენს სახელმწიფოზე იყო. უბრალო ლოგიკაა – თუ სტალინი ბოროტების გროვას, ასევე ბოროტების გროვას წარმოადგენს მის მიერვე შექმნილი სახელმწიფოც. საბჭოთა კავშირი "ბოროტების იმპერიაა", ამტკიცებდა რეიგანი. იმ წლებში მე არ მეცალა წიგნებისათვის. მე მაშინ სახელმწიფოს დამანგრეველ "დემოკრატებს" თვლიდი. წიგნს კი მაშინ მოეუტრიალდი, როდესაც აღარ იყო ჩვენი დიდი სახელმწიფო. ჩვენს ისტორიაში სტალინის მიერ შესრულებული როლის ყოველმხრივი გააზრების დრო დადგა, უმარგულესად როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწისა. ამის თაობაზე ერთ სიტყვასაც ვერ შეხედებით ნაშრომებში მის შესახებ. ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტიც კი არ არის ხსენებული, როგორცაა 1917 წელს რსდმ(პ) მენ ყრილობაზე მისი საანგარიშო მოხსენება, სადაც მან წამოაყენა ერთ ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის აღმშენებლობის იდეა. და ეს მაშინ, როცა ტროცკისტები, ზინოვიეველები, ბუხარინელები და სხვა გადაგვარებულები რუსეთს მხოლოდ მსოფლიო რევოლუციისათვის გამოსაყენებელ მასალად მიიჩნევდნენ..."

განსაკუთრებული მსჯელობის საგნად არის ქცეული სტალინის დამოკიდებულება რელიგიასთან, რადგან ძალიან ბევრი ღვთისმსახური სტალინს თავისი ცხოვრების წესით ქრისტესთანაც კი აიგივეებს. საინტერესოა ამ მხრივ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის დიაკონის გ.პ. პიჩუჟინის შეხედულება:

"...ქრისტე როგორც ცნობილია, უბრალო ხუროს ოჯახში დაიბადა.

სტალინიც, დარბი მიწეჭმის ოჯახში იშვა.

ქრისტე მოვიდა თავის სამშობლოში, ასწავლიდა სინაგოგაში ისე, რომ უკვირდით და ქედმაღლურად ამბობდნენ: "საიდან აქვს მას ეს სიბრძნე და სასწაული? განა ხუროს ძე არ არის?" და დასცინოდნენ, უპატივცემულობას იჩენდნენ მისა ღვთისადმი.

სტალინის განმეორებელიც მწარედ დასცინოდნენ მას, მისი წარმომავლობის გამო: "შეწადის შვილი, გაუნათლებელი სემინარისტის, განა რა უნდა მოემოქმედა მას კარგი?"

მათ საკუთარი თავი, საზოგადოების ელიტად რომ წარმოედგინათ, მათ, სულმდაბალთ და უსუსურთ, აცოფებთ ფაქტი, რომ ხალხის "ყველაზე დაბალი ფენიდან" გამოსულმა შესძლო, არა მხოლოდ თვითონ ამაღლებულიყო სამყაროზე, არამედ საკუთარი ნიჭითა და ტიტანური შრომით, ასწია დაუძღვრებელი ქვეყანა, მრისხანე სიდიადემდე აამაღლა და გაიყვანა ისეთ ბრწყინვალე მიჯნებთან, რომელიც კაცობრიობის თვით გენიალურ წარმომადგენელსაც კი არ დასიზმრებია. ამიტომ სისინებენ გველებით...

იგი ამქვეყნიურ ცხოვრებაში ქრისტეს მცნებებით ხელმძღვანელობდა, რომელიც ჰეიციხავდა სიმდიდრისკენ ლტოლვასა და მომხვეჭელობას... ის ყველაფერს აკეთებდა რომ მდიდარი და ძლიერი ყოფილიყო ჩვენი ქვეყანა, რომ ადამიანები ბედნიერი ყოფილიყვნენ. თავისი ცხოვრებით გაიმეორა ის, რასაც საკუთარ თავზე ამბობდა ქრისტე – "ისევე, როგორც კაცის ძე არ მოსულა იმისთვის, რომ ემსახუროს მას, არამედ იმისთვის, რომ თავად მოემსახუროს და თავი შესწიროს მრავალთა გამოსასყიდად".

ცნობილია, რომ იოსებ სტალინი არავის უნახავს ეკლესიაში მლოცველი, ისე როგორც ჩვენ ვხედავთ ჩვენს დღევანდელ "მწყემსებს", მოღალატეებს, თვალთმაქცებს: ელცინებივით, პოპოვიებივით, გორბაჩოვიებივით, შევარდნაძეებივით (ეს სიტყვები დაიწერა მაშინ, როცა რუსეთს ბორის ელცინი თავგაცობდა – აგტორები), რომელთაც უშუალოდ ეხებათ ქრისტეს სიტყვები: "ნუ იქნებით თვალთმაქცნი, რომელთაც უყვართ სინაგოგასა და ქუჩის კუთხეებში დგომა და ლოცვა, რათა ხალხს მოაჩვენონ მორწმუნეობა და ღვთის მოსაზობა".

და სტალინმაც იცოდა შეგონება ძე ღვთისა. იგი არ ლაპარაკობდა ბევრს, არ თვალთმაქცობდა და არ იქნევდა მუშტებს, ისე, როგორც ეს უყვართ დღევანდელ ცნობილ "ბელადებს" და მის მიერ მოცემულ სიტყვას ყოველთვის ასრულებდა, მისი სიტყვები და საქმე არ დასცილებია ერთმანეთს...

და ცხოვრება ჩვენი, სულ უფრო და უფრო უკეთესი ხდებოდა, სანამ არ გარდაიცვალა სტალინი და არ დაიწყო ხრუშჩოვის მმართველობა, მისი უსასრულო "რეორგანიზაციებით", რომელმაც ჩიხში შეიყვანა ჩვენი ქვეყანა.

სტალინმა სული დასდო თავისი ხალხისათვის და მე მწამს, რომ სახარება იყო მისი სამაგიდო წიგნი."

– სტალინი არ იყო ურწმუნო! – იხსენებს მისი თანამებრძოლი მოლოტოვი. მწერალმა სოლოუხინმა კი, რომელსაც არაერთხელ უნახავს სტალინი სასულიერო პირთა გარემოცვაში, აღნიშნა, რომ სტალინი მღვდლებს დიდ პატივს სცემდა. ეკლესიისა და რელიგიის მიმართ თავის ლოიალურ დამოკიდებულებას ბელადი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ამჟღავნებდა. მათი დევნის პოლიტიკას კი მხოლოდ ისინი ახორციელებდნენ, ვისი ნაშეიერიც

დღეს გაკვივან სტალინის მიერ ვითომ ჩადენილ "დანაშაულებზე".

ეს ტროცკისტებმა, ნიკიტა ხრუშჩოვმა და მათმა თანამოსაქმეებმა 1919 წელს მოსკოვში მართლმადიდებელი ეკლესიის 320.000 მსახური. ეს, ტროცკი და მასთან ერთად რაკოვსკი მკრეხელობდა კიევპეჩორის ლავრაში და ის, რაც მათ ვერ დაასრულეს, "დაავიწყებინა" ჩასაფრებულმა ტროცკისტმა ნიკიტა ხრუშჩოვმა.

ეს, ტროცკი ხელმძღვანელობდა ბაზილევინის, უნშლისტის და სხვათა თარეშს მოსკოვის ტაძრებში. ტროცკი პოლიტიკუროსაგან განუწყვეტლივ მოითხოვდა საეკლესიო ფასეულობათა ამოღებას და იგი თავად ხელმძღვანელობდა ტაძრების ძარცვას.

სტალინმა გაიგო, რომ ა.მ. ვასილევსკიმ, პარტიული ორგანიზაციის მოთხოვნით, კავშირი გაწყვიტა მამასთან, რომელიც ღვთის მსახური იყო. სტალინმა დაგმო ეს საქციელი და ურჩია მომავალ მისწავლს, აღედგინა კავშირი მშობლებთან, ისტუმბური დახმარება აღმოეჩინა მათთვის და გადასცა საფოსტო გზავნილების დასტა. თურმე სტალინი რეუგლარულად უგზავნიდა ფულს ვასილევსკის მამას, მოსუცს კი ევონა, რომ მას შეიღისაგან მოსდიოდა ეს ფული.

წერილს დიაკონ პიჩუჟინის სიტყვებით ვამთავრებთ:

"...ჩვენ ბელადები – გაიძვერებში, მამულიშვილები – მახეებში და ოტროპეებში გავცვალეთ. ღვინვი და სტალინი კი ამერიკელ "იანკებსა" და გერმანელებს შეეწირეთ. სტალინმა თავისი სიბრძნითა და ნებისყოფით ჩვენ გაგვართიანა, როგორც აერთიანებდა ქრისტე ისრაელის შვილებს. ხომ გამოუჩნდა სტალინს მის გარემოცვაში, ისევე, როგორც ქრისტეს, თავისი იუდა.

მაგრამ მე მწამს, რომ ხალხი გამოერკვევა და აღსდგება იმ გაბრუებისაგან, რომელშიც ფიცის გამოიდევლებმა და ქრისტეს მგომბა ადამიანებმა მოაქციეს. გამოერკვევა და აღსდგება, სულით და გულით აღასრულებს ღვთის ნაანდერძებს". (გამოყენებულია ციტატები დავით ჯანგულაშვილის წიგნიდან "ფიქრები გადასახედიდან დანახულზე")

რამაზ იაშვილი, როლანდ ჯალაღანია

"მასში თავმოყრილია სახელმწიფო მოღვაწის, იულიუს კეისრის ჭკუა, მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, მაკედონელის მხედართმთავრული გენია, ციცერონის მჭერმტყვევლების დამაჯერებლობა და აზრის გამოხატვის სისწრაფე, მაგრამ სტალინი ყოველ მათგანზე უფრო მაღლა დგას, გაცილებით მაღლა, რადგან მასში მოქცეულნი არიან ყველა ერთად აღებულები".

პაბლო პიკასო

"რამდენადაც გენიალური იყო სტალინი, იმდენად სასაცილო არარაობანი იყვნენ მის შემდეგ მოსული გენერალური მდივები: შუკაუნი, უნებისყოფონი, გაუნათლებელი, ანგარებიანი და ბოროტები.."

ევგენი მაქსიმოვი, მწერალი.

სტალინი - მეუღლე და ოჯახის მამა



იოსებ სტალინის პირველი მეუღლე ეკატერინე სეზინი გახლდათ, რომელიც მას ახალგაზრდობაშივე გარდაეცვალა მიმე დაეფუტებით. მისგან სტალინს ერთადერთი ვაჟი იაკობი დარჩა, რომელიც გორში სტალინის დედისთან კეკესთან იზრდებოდა. მიმალაში მყოფ სტალინს დასაფლავების დღეს მთელი „ოხრანკა“ ჩასაფრებული ელოდა სასაფლაოზე. სტალინი თითქოს მიწიდან ამოიზარდაო, მოულოდნელად გამოჩნდა, მეუღლის კუბოსთან დაიხრჩა და წარმოთქვა:

– ბოდიშს გიხდით, რომ ბოლომდე ვერ გიერთგულე. დღეს შენთან ერთად ჩემი ღმობიერება და მიმტყველობაც დაიმარხება!

ამის შემდეგ სტალინი ისევ შეუმჩნეველად გაუჩინარდა, როგორც გამოჩნდა და „ოხრანკა“ პირში ჩალაგამოვლებული დატოვა.

იოსებ სტალინი ოჯახისა და მეუღლის დიდად მოყვარული ადამიანი გახლდათ და ძალიან განიცდიდა ცხოვრების თანაზიარის დაკარგვას. დანგრეული ოჯახის დარდი მას რევოლუციის ქარტახილვებამც კი ვერ გაუქარგა, მაგრამ ცხოვრება მანინ წინ მიდიოდა და ეულად ყოფნა ბელადს ადარ შეეძლო. შემდეგ სტალინმა ცოლად მოიყვანა ნადეჟდა ალილუევა. ეს მომხიბლველი გარეგნობის მქონე გოგონა 1902 წელს დაიბადა ქალაქ ბაქოში, პროფესიონალი რევოლუციონერის ოჯახში. იოსებ სტალინი, როგორც ცნობილია, ახალგაზრდობაში სწორედ აზერბაიჯანის დედაქალაქში ეწეოდა აქტიურ რევოლუციურ მოღვაწეობას. ნადიას მამას, სერგეი ალილუევის, ის ახლოს იცნობდა. თავად ნადია მაშინ პატარა იყო. მოგვიანებით, უკვე პიროვნების კულტის „მხილვების“ დროს, ჩეკისტებმა გააფრცხლეს ჭორი, თითქოს პატარა ნადია ადიდებულ მდინარეში ჩაეარდა და სტალინმა დახრჩობას გადაარჩინა. ფაქტობრივად საარქივო მასალებით ეს არ დასტურდება. არც ერთი პირი, ვინც ალილუევის ოჯახს მაშინ ახლოს იცნობდა, ამას არ ადასტურებს. ცნობილი ლიტველი ჟურნალისტი და პოლიტიკოსი იუსტას პალეცკისი, რომელმაც 1933 წელს საბჭოთა კავშირში იმოგზაურა, იცნობდა:

“ერთ-ერთ რესტორანში ოფიციალტმა „საიდუმლოდ“ გაგვიმხილა, რომ იოსებ სტალინს ისე ძალიან ჰყვარებია თავისი ცოლი, ოდესაც მის გადასარჩენად ადიდებულ მდინარეშიც კი გადახტარა. მაშინ ამან ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა”.

უკვე სტალინის სიკვდილის შემდეგ, როცა პალეცკისი ლიტვის სახელმწიფოს მეთაური გახლდათ, მან კრემლში გამართულ სპეციალურ წვეულებაზე კლიმენტი ჯორჯიშვილს ჰკითხა:

- მართალია, რომ ოდესაც სტალინი ადიდებულ მდინარეში გადახტა ცოლის გადასარჩენად?
- ეგ ვინ გითხრაო?
- როდესაც საბჭოთა კავშირში პირველად ვიყავი, რესტორანში ოფიციალტმა საიდუმლოდ გაგვიმხილა.
- ჭორებია. ჩვენში ასეთ ჭორებს ერთი ფრთად პატივცემული უწყება საგანგებოდ ავრცელებდა.

სტალინმა და ნადეჟდამ ერთმანეთი 1917 წელს გაიცნეს. ბელადი გადასახლებიდან ახალი დაბრუნებული იყო. ნადია მასზე 22 წლით უმცროსი

გახლდათ. მიუხედავად ამისა, თავდავიწყებით შეუყვარდა ნორჩი გოგონა. სტალინმა სასიყვარულო ბარათი მისწერა მას. ბედის ირონიით, გოგონას წერილი ბუხარინმა გადასცა, რომელიც მაშინ სტალინთან მეგობრობდა.

16 წლის ასაკში ადვილია ადამიანის თავდავიწყებით შეყვარება. ამ დროს გჯერა ჭეშმარიტი გრძობების, რაინდობის, უანგარობის, ვაჟკაცობის. ნორჩ ნადია ალილუევასაც სტალინი ზღაპრულ გმირად მიანდა, რომელიც საბჭოთა ხალხის ბედნიერი მომავლისათვის იბრძოდა, ამისათვის არაერთგზის იყო დაპატიმრებული ცარიტული „ოხრანკის“ მიერ, გამოიარა ტურუხანსკის უმკაცრესი კატორღა, ციმბირში გადასახლებები.

“მას ვერაფერი დააკლეს, ვერაფერი! იმით რომ ის რკინის კაცია, რკინის!” – გოგონა აღტაცებით ვერ მალავდა. იგი დღეღამე მის სათაყვანებელ პიროვნებაზე ფიქრობდა ქალიშვილურ ოცნებებს აყოლილი.

სტალინი და ნადეჟდა დიდხანს სეირნობდნენ ხოლმე ერთად. “ჩემი იოსები”, – ასე ნახად მიმართავდა ნადია თავის გამირს.

– იცი რა, ძალიან მინდა დედაშენი გაეიცნო, – უთხრა ერთხელ სტალინს ნადიამ.

– აუცილებლად გაგაცნობ. აი, მალე დამთავრდება სამოქალაქო ომი და გაგაცნობ.

– როგორია დედაშენი?

– მას ძალიან უნდოდა მღვდელი გამოესულიყო.

– მკაცრი ქალია? მე, ალბათ არ მოვეწონები...

– შენ აუცილებლად მოეწონები...

– რატომ?

– იმიტომ, რომ ძალიან კარგი გოგონა ხარ...

1918 წელს იოსებ სტალინი კომპარტიის(ბ) პოლიტიბუროს დადგენილებით ცარიტინში მიაგვლინეს. მასთან ერთად გაემგზავრნენ სერგეი ალილუევი და ნადია. ორივენი სტალინის სამდინოში შედიოდნენ. ომი მიმე ჯამს უკიდევანო რუსეთის თითქმის ყველა დასახლებული პუნქტი დამაბულობის კერად იყო ქცეული. რუსეთის უკიდევანო სივრცეებზე მძინვარებდა სასტიკი სამოქალაქო ომი. მამა შვილს არ ინდობდა და შვილი – მამას, ყველგან სისხლის მდინარეები მოედინებოდა. ცარიტინი, ისევე, როგორც რუსეთის უდიდესი ნაწილი, სისხლიანი, დაუნდობელი ბრძოლების ეპიცენტრად იქცა. თეთრგვარდიელები მჭიდრო რკალად იყვნენ შემოწეობილი რუსეთის დიდ ქალაქებს და ყველას იმის მოლოდინი ჰქონდა, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება მალე დაეშობოდა. მაგრამ ამას იყო მათი მოლოდინი...

ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში ადამიანის პიროვნული თვისებები ბოლომდე ნათლად მუდგანდება. ნადიაც მალე დარწმუნდა, რომ არ შემცდარა თავის შეფასებაში:

– ჩემი იოსები ნამდვილად რკინის კაცია!

ნადეჟდა ალილუევა მაშინ ყველაფერში თანაუგრძობდა ქმარს. მიმდინარეობს სასტიკი კლასობრივი ბრძოლა, ვინ – ვის, საითხი სწორედ ასე დგას. თუ მოსისხლ მტერს დაინდობ, ეს მომავალში ძვირად დაგიჯდება, რადგანაც ის არ დაგინდობს. ეს ხომ სამოქალაქო ომის ლოკაია – სასტიკი, მაგრამ გარდაუვალი. აკი უთხრა კიდევ ერთხელ მამამ:

– როგორც წესი, სამოქალაქო ომში ყოველთვის იმარჯვებს ის, ვინც უფრო დაუნდობელია!

იოსებ სტალინმა გამოავლინა იშვიათი ორგანიზატორული თვისებები. ნადიამ დაინახა, რომ სტალინს შეეძლო ხალხის ორგანიზება, ბრწვინავლედ ერკვეოდა ადამიანებში, შეიარაღებული ძალების საომარ სტრატეგიასა და ტაქტიკაში. ამიტომაც მაგრად ეჭირა ხელში ყველა, დაწვეული უბრალო წითელარმიელებით,

დამთავრებული გამოცდილი სამხედრო სპეციალისტებით.

– მისი ყველას ეშინია, დღეღამე შეუსვენებლად მუშაობს, იმის განჭვრეტაც კი შეუძლია, თუ ვინ რას ფიქრობს! მას საკუთარი დაზვერვაც კი ჰყავს! – აღფრთოვანებას ვერ მალავდა ახლობლებთან საუბრისას ნადია.

გოგონას განსაკუთრებით სიამოვნებდა ის, რომ ასეთ პირობებშიც კი სტალინი ყურადღებას არ აკლებდა. ნადია სიხარულით მეცხრე ცაზე იყო, როდესაც სტალინი ჰკითხავდა:

- ხომ არ დაიღალე?
- არა! არა!
- თუ დაიღალე, მითხარი.
- იცი, ყველაზე ბედნიერი ახლა ვარ.
- რატომ ნადეჟა?

– იმიტომ, რომ ასეთი მოუცვლლობის ჯამს გამონახე დროს და ჩემთან მოხვედი და, უბრალოდ, ადამიანურად მომიკითხე. ჩემთვის ეს ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ძალზე ძვირფასი ნივთიერი საჩუქარი.

ცარიტინში ერთად ყოფნამ ისინი ძალიან დაახლოვა. ამიტომ, როდესაც იოსებ სტალინი მტერზე გამარჯვებული დაბრუნდა მოსკოვში და ცოლობა სთხოვა, ნადია მაშინვე დაეთანხმა. არც ნადეჟდას მშობლები წასულან მათი შეკავშირების წინააღმდეგ.

ნადეჟდამ სტალინს ორი შვილი გაუჩინა: ვასილი და სვეტლანა, რომლებზედაც ბელადი, შეიძლება ითქვას, რომ გიჟდებოდა – ლამის საკუთარი ხელით უცვლიდა ბავშვებს საფეხებს. ჩვილებმა დამატებითი საზრუნავი გაუჩინა ჯულაშვილების ოჯახს, პარალელურად კი ნადეჟდა კვლავაც აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწეოდა. სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო სამრეწველო აკადემიაში, მთელი არსებით იყო ჩაბმული ბოლშევიკური პარტიის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ამავე დროს, ნადია გამოირჩეოდა შესაშური უბრალოებით, მან უარი თქვა პერსონალურ ავტომანქანასა და სპეციალურ დაცვაზე. ინსტიტუტში ტრამვაით დადიოდა, რის თაობაზეც სტალინისაგან მკაცრ შენიშვნებს იმსახურებდა.

ოცდაათიან წლებში ნადეჟდას თავის საშინელი ტკივილები დაეწყო. კრემლის ექიმებმა დაადგინეს, რომ მას თავის ქალაზე არასწორად ჰქონდა შესრდილი ძვლები, რაც, ორი მშობიარობის შემდეგ ქალს აუტანელ ტკივილებს ჰგვრიდა. ამან საბოლოოდ შეიწირა ახალგაზრდა ქალის ნერვები, უბრალო რამეზე ღიზიანდებოდა, შეტევა შეტევაზე ემართებოდა, შემდეგ კი ისტერიკული ტირილი აუვარდებოდა ხოლმე.

სტალინმა საუკეთესო ექიმები დაახვია თავს. შემდეგ მეუღლე სამკურნალოდ დიუსელდორფშიც გაგზავნა, მაგრამ არაფერმა გაჭრა – ქალის მორენა ვერაფრით მოხერხდა. ნადეჟდას ავადმყოფობა ზშირად ხეობოდა ოჯახური უსიამოვნებების მიზეზი, მაგრამ სტალინი ითვალისწინებდა მეუღლის მიმე ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობას და დათმობაზე მიდიოდა ხოლმე.

დრო და დრო ნადია მოიხედავდა ხოლმე, დამშვიდებოდა, თავის ტკივილები და ისტერიული შეტევები გაუვლიდა, ნორმალური აზროვნება უბრუნდებოდა, მტანჯველი ტკივილებისაგან თუნდაც დროებით თავდასხნილი ღიმილით ეგებებოდა ყველას, და მაშინ ცოლ-ქმრულ ცხოვრებაში იდილია დაისადგურებდა ხოლმე. ნადეჟდა ძველებური აღერსიანი თვალებით მიანერდებოდა სტალინს და ეუბნებოდა:

– იოსებ, დღეს რაღაც ცივა, თბილად ჩაიცვი, თორემ გაცივდები.

– კარგი.

ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელმაც სტალინის გარდაცვალების შემდეგ სათავე დაუდო საბჭოთა კავშირის დაშლა-განადგურებას, მოგვიანებით იგონებდა, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღესასწაულზე მავსოლვეუმის ტრიბუნასთან ნადეჟდა ალილუევას გვერდით

აღმონდა. სამხედრო აღლუმი და დემონსტრაცია რამდენიმე საათი გრძელდებოდა. ეტეობა, ქალის ნერვიული მდგომარეობა, იმ დროისათვის, შედარებით დამშვიდებული იყო. ის დიდხანს თბილად მისწერებოდა ქმარს, შემდეგ ხრუშჩოვის მიუბრუნდა და უთხრა:

– ჩემს იოსებს დღეს რატომღაც შარფის გაკეთება დააიწყება, ტრიბუნაზე კი საათობით უნდა იდგეს. მეშინია, არ გაცივდეს.

1932 წლის 8 იანვარს კუნცევის ავარაკზე, სტალინის რეზიდენციაში, ჩვეულებისამებრ, სუფრა გაიშალა. სახეიმო ვახშამს ესწრებოდნენ ვიანხელავ მოლოტოვი, კლიმენტი ვოროშილოვი, ლაზარე კაგანოვი, ანასტას მიქოიანი, ვიორგი მალენკოვი და სხვა საბჭოთა ლიდერები. წვეულებას იოსებ სტალინი მასპინძლობდა მეუღლითურთ. მიუხედავად იმისა, რომ ნადეჟდა ხმაურიან წვეულებებს ერიდებოდა, სტალინს უარი ვერ უთხრა და სტუმრების შესახვედრად წაჰყვა. მოულოდნელად ნადეჟდა ალილუევამ თავი შეუძლოდ იგრძნო და იცოდა, რომ მალე ნერვიული შეტევა დაეწეებოდა. ქალმა სტალინს შესთავაზა, წვეულება მიატოვა და სახლში წავიდა. ნადეჟდას სულიერი დეპრესია სტალინის პირადი ტრაგედიის მიზეზად იქცა – 9 იანვრის დამეს ნადეჟდა ალილუევამ რევოლვერით თავი მოიკლა. ეს უკვე მეორე უაღრესად მიმე დარტემა იყო იოსებ სტალინისათვის, რომელსაც ნამდვილად უყვარდა ახალგაზრდა მეუღლე.

ნადეჟდა ალილუევა მოსკოვში ნოვოდევიჩის სასაფლაოზე დაკრძალეს. შემდგომში, როცა ნიკიტა ხრუშჩოვისა და მისი ხროვის მიერ ლიცენზირებული იოსებ სტალინის ლანდლა ლამის სავალდებულო მოვლენად იქცა, სტალინის ანგაჟირებული ბიოგრაფებმა ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე დაწერეს, რომ ბელადი არასოდეს არ მიდიოდა ნადეჟდას საფლავზე.

ეს არ გახლავთ სიმართლე. ის ხალხი, ვინც იცნობდა იოსებ სტალინს, იგონებენ, რომ ბელადი იშვიათად, მაგრამ მაინც მიდიოდა ცოლის საფლავზე. ამას დამის საათებში აკეთებდა, სამუშაოსაგან მეტნაკლებად თავისუფალ დროს და სამარესთან დაფიქრებული დიდხანს იჯდა. თვითმხილველთა გადმოცემით, ყოველგვარი ფუფუნების მოშუღე სტალინმა გააკეთებინა თითბერის უბრალო მედალიონი, რომელშიც ნადეჟდას სურათი ჩასაყვნა. იგი თურმე, სხვებისაგან შეუმჩნეველად, ყოველთვის თან ატარებდა ამ მედლიონს.

რუსი ავტორების ნაწარმოებებიდან ამოკრბა რ. შალამბერიძემ

რას ამბობდნენ სტალინზე “მას არასოდეს უცდია გადაექცია ტრიბუნა კვარცხლბეკად, არ უცდია მუსოლინისა და ჰიტლერის მსგავსად პათეტიკური ტონი, ან ეწარმოებინა ადვოკატური თამაში, კერენსკის ყაიდაზე, კერენსკისა, რომელსაც შეეძლო და შესანიშნავად ეხერხებოდა ზემოქმედების მოხდენა მსმენელებზე. მისთვის უცხოა განდის მაჰიპნოტიზირებული მოახილი – სტალინი ყოველთვის იყო და დარჩება უფრო სიტყვაძუნწი, ვიდრე ლენინი”.
ანრი ბარბიუსი

ლაპრენტი ბერია — ქართული ბენია



ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სერგეი კრემლიოვი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიანი

ნი სტალინის ამგვარ მოწოდებას აშკარად არ გაუხარებია, რადგან მომავალი მათ კარგს არაფერს პირდებოდა...

ეს სტრიქონები განაბულმა ტროცკისტებმაც წაიკითხეს... მონარქისტებმაც, ეკლესიის მსახურებმაც და საბჭოთა ხელისუფლების სხვა მოძულებებმაც...

მათ საკუთარი კრახიც დაინახეს, ახალი ავტორიტეტის გაშლის საშუალებაც და არჩევნებში მათთვის სასურველი კანდიდატების გაყვანის შესაძლებლობაც.

აი, როგორი ფურორი გამოიწვია ქვეყანაში 1936 წლის 5 მარტს “პრავდაში” გამოქვეყნებულმა სტალინის წერილმა (მის სიკვდილამდე ზუსტად 17 წლით, ხოლო კონსტიტუციის მიღებამდე 9 თვით ადრე).

კონსტიტუცია 1936 წლის ბოლოს მიიღეს. 1937 წელი მომავალი არჩევნების წელი იყო.

1937 წლის მარტში დამთავრდა ცეკას პლენუმი, რაც ჩვენ უკვე ვახსენეთ და კიდევ ბევრჯერ ვახსენებთ. მისი შიშის დაიწყო შეთქმულ სამხედრო მოსამსახურეთა და პატიმრების იაკირისა და ტუხაჩევსკის მეთაურობით. დავა რომ არ დამიწყონ, ახლავე ვიტყვი: “სამხედრო შეთქმულება ნამდვილად არსებობდა. მხოლოდ მის ფესვებზე შეიძლება ვიდავოთ — იყო იგი ტროცკისტული, ინტელიტური თუ გერმანული...” ალბათ ცოტ-ცოტა ყველაფერი იყო, ან პირიქით — ყველაფერი ბლომ-ბლომად.

1937 წლის 2 ივნისს სტალინი მოხსენებით გამოვიდა თავდაცვის სახალხო კომისარ ვოროშილოვთან არსებული სამხედრო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე. მუდმივი წევრების გარდა, რომელთა შორის 20 პირი უკვე იყო დაპატიმრებული, მას ესწრებოდნენ პოლიტბიუროს წევრები და ასი მოწვეული სამხედრო მოღვაწე.

მანამდე კი, 1 ივნისს მოხსენებით გამოვიდა საკმაოდ დაბნეული სახალხო კომისარი ვოროშილოვი, რომელმაც გააკეთა მოხსენება “წითელ არმიას შინაგარეული მიერ გამოვლენილი კონტრრევოლუციის თაობაზე”. მისი მდგომარეობა განსაკუთრებით იყო — საბჭოთა კავშირის ერთადერთი საიმედო დასაყრდენი — წითელი არმია, თურმე არც თუ ისე საიმედო ყოფილა.

სტალინი მეორე დღეს გამოვიდა (საბჭოს სხდომა სულ 4 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა)

და მოხსენება ამ სიტყვებით დაიწყო: “ამხანაგებო! ვფიქრობ, აღარაგის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ნამდვილად არსებობდა სამხედრო-პოლიტიკური შეთქმულება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამის დამადასტურებელი უამრავი ფაქტი არსებობს, რომელიც მოპოვებულია როგორც დამადასტურებელი ჩვენებით, ასე ადგილებზე მომუშავე ამხანაგების დაკვირვებით... ასე რომ, შექმულება ნამდვილად არსებობდა...”

ამასთან დაკავშირებით მე ვიტყვი...

მე არ გამოვიცხავ, რომ ვილადამ არ იწმუნა სტალინის ეს სიტყვები, მაგრამ ნუთუ შეიძლება ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში დაეჭვება 1991 წლის შემდეგ? მაშინ ხომ სამშობლოსა და ხალხის ინტერესებს უღალატა თითქმის მთელი პარტიულ-სახელმწიფო, სამხედრო, სამეურნეო, სამეცნიერო და შემოქმედებითი ელიტის ნახევარზე მეტმა?

აქ კი ღალატზე წავიდა უმნიშვნელო რაოდენობა. მაგრამ, ღალატს ადგილი ჰქონდა!

მოდით, კვლავ სტალინის ეპოქას დაუბრუნდეთ.

“სტალინი. ლანძღვენ ამხანაგებს: ზოგს ნაპირალას უწოდებენ, ზოგს — არაკაცს, სხვებს — მემამულეებს.

მაგრამ, თავისთავად ამგვარი ლანძღვა არაფრის მომტანიან... ამბობენ: ტუხაჩევსკი

მემამულეაო, სხვები კი ამტკიცებენ, რომ იგი მღვდლის შვილიაო. საქმისადმი ასე მიდგომა არ შეიძლება, ამხანაგებო. ლენინი ხომ თავადაზნაურთა წრის წარმომადგენელი იყო — იცით ამის თაობაზე?

ხმა ადგილიდან. ვიცით.

სტალინი. ენგელსი ფაბრიკის მეპატრონის შვილი იყო... ჩერნიშევსკი მღვდლის შვილი გახლდათ, მაგრამ როგორი ადამიანები იყვნენ ისინი? და პირიქით: სერებრიაკოვი მუშათა კლასს წარმომადგენდა, მაგრამ იცით, როგორი ნაპირალაც აღმოჩნდა...

თქვენ გაგანიათ კიდევ ერთი არასწორი შეხედულება. ხშირად ამბობენ: რომ ვილადამ 1922 წელს ტროცკის დაუჭირა მხარი. არც ესაა გამართლებული... შეიძლება ადამიანი ახალგაზრდა და გამოუცდელი იყო, უბრალოდ, სიტუაციაში ვერ გაერკვა. გაიხსენეთ, ძველნისკი ტროცკის მხარს უჭერდა ლენინის შეხედულებათა საწინააღმდეგოდ... თქვენ იცით ამის თაობაზე? იგი არ გახლდათ ის ადამიანი, რომელიც შეიძლება პასიური დარჩენილიყო რაიმე მოვლენის მიმართ. იგი აქტიური ტროცკისტი გახლდათ... ასევე, 1921 წელს ძალზე აქტიური ტროცკისტი გახლდათ ანდრეევი.

ხმა ადგილიდან. რომელი ანდრეევი? სტალინი. ცეკას მივიანი, ანდრეევი ანდრეის ძე ანდრეევი. მე თქვენს ამგვარ შეხედულებას ვერ გავიზიარებ...

სტალინიმა მაშინ ბევრ საინტერესო საკითხზე ილაპარაკა. აი, მაგალითად:

“ყველაფერი უბრალო იდეოლოგიურ დაჯგუფების შექმნით დაიწყო. პოლიტსამმართველო ჩვენს ხელშია, იაგოდა ჩვენს ხელშია, კრემლი ჩვენს ხელშია, იმ-იტომ, რომ პეტერსონი ჩვენთანაა, მოსკოვის ოლქი, კორკი და გორბაჩოვი (მაშინაც იყო ასეთი გორბაჩოვი) ჩვენთანაა. ყველაფერი ჩვენს ხელშია. და მრავალი უნებინსყოფი, სუსტი ადამიანი ფიქრობდა, რომ ეს რეალობაა. თუ ეს მომენტში ხელიდან გავეშვი, ხელისუფლებას დააპატიმრებენ, ხელში ჩაიგდებენ მოსკოვის გარნიზონს, მე კი გვერდზე დავრჩებით... სწორედ ამას წერს თავის ჩვენებებში პეტერსონი...”

2 ივნისის სხდომაზე ასეთი საუბრებიც იყო:

“სტალინი. ჩემის აზრით, მაღალ სამხედრო თანამდებობებზე ხალხის დანიშნისას უამრავ რამეს არ ვაქცევდით ყურადღებას. ამას, მე, სამხედრო საქმისაგან შორს მდგარი პიროვნებაც კი ვამჩნევდი. მაგალითად, მექანიზირებულ ბრიგადას მეთაურობს ყოფილ უფარისი პიროვნება აბაშიძე. მაინც რატომ, რა დამსახურებებისათვის უნდა დაგვენიშნა იგი ამ თანამდებობაზე? ასე არ არის, ამხანაგო ვოროშილოვ?

ვოროშილოვი. იგი საბრძოლო კორპუსის აჯუს მეთაურია.

სტალინი. მე არ ვიცი, რა არის აჯუს. ხმა ადგილიდან. იგი კორპუსის აგტო-ჯაგმანსტანკო ჯარების მეთაურია.

სტალინი. გილოცავთ! გილოცავთ! მაღალიან კარგია! რატომ უნდა იყოს იგი იქ? როცა გადავამოწმეთ, აღმოჩნდა, რომ რამდენჯერმე ყოფილა პარტიიდან გარიცხული, შემდეგ კი აღუდგენიათ. შემდეგ საქართველოში გაგაგზავნეთ დეპუტატი, რომ ქართველთა ყოფილი დამსჯელია, ლოთი, უსაქმური, წითელარმიელებს გამეგებთ სცემს.

შემოწმება გაგაგრძელეთ. და იცით, ვისი რეკომენდაციითაა არმიაში მოსული? ეშმაკმა დალახვროს — თვით ელიავას, ბუდიონისა და ეგოროვის რეკომენდაციით. ბუდიონი და ეგოროვი მას არ იცნობენ, მაგრამ, მოსწონთ როგორც მთქვიფე და სუფრის თამადა. განა ასე შეიძლება? ჩვენ იგი არმიიდან გაგააყვეთ, რა თქმა უნდა... მე ვიცნობ ქართველ თავადებს, რომ-

ლებიც საკმაოდ თავხედები არიან. მათ ძალიან ბევრი დაჰკარგეს და არასოდეს შეურიგდებიან საბჭოთა ხელისუფლებას. განსაკუთრებით, აბაშიძეები...”

ძვირფასო მკითხველო, აბაშიძე მხოლოდ და მხოლოდ ერთი თავგასული ადამიანი იყო. რა თქმა უნდა, დიდ ვერაფერს მატებს მის ბიოგრაფიას, და სტალინის თქმით იგი მხოლოდ “გააძვეეს”.

მაგრამ, აი, სტალინის მიერ ნახსენები სხვა სახელი... იმ დროს 40 წლის ლატვიელი, დივიზიის ინტენდანტი რუდოლფ პეტერსონი. 1920 წლიდან იგი კრემლის კომენდანტი იყო, 1936 წლიდან კი ხარკოვის სამხედრო ოლქის ზურგის სამსახურის უფროსი. 1922 წელს დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით, 1934 წელს — ლენინის ორდენით. დააპატიმრეს 1937 წლის 27 აპრილს, დახვრიტეს ამავე წლის 21 აგვისტოს. 1957 წელს რეაბილიტირებულ იქნა ტუხაჩევსკისთან, უბორკინთან, იაკირთან და სხვებთან ერთად.

მაგრამ, ტუხაჩევსკის შეთქმულება ხომ იყო? გამოდის, რომ პეტერსონიც არც მთლად უდანაშაულო ყოფილა

და რაც ყველაზე საინტერესოა!

“რეპრესიათა ისტორიის” დიდი სპეციალისტი თადარიგის პოლკოვნიკი სუვენიროვი, თავის ცნობილ წიგნში “წითელი არმიის ტრაგედია 1937-1938 წლებში” დასტურებს რა რეპრესიის მსხვერპლ ტუხაჩევსკის, იაკირს, უბორკინს, კორკს, პრიმაკოვს, ფელდმანს, პუნასს, ვილემანს და სხვებს, აქვე ამტკიცებს, რომ სამხედრო მოსამსახურეთა მეტი წილი სწორედ ამათი ჩვენებების საფუძველზე იქნა დაპატიმრებული.

მაგრამ იგივე პეტერსონი ხომ დააკავეს მაშინ, როცა ტუხაჩევსკი ჯერ კიდევ თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე იყო. განსაკუთრებით რატომაც — პეტერსონი ამ შეთქმულებაში იაგოდას მხარეს წარმოადგენდა და არა ტუხაჩევსკისას.

სუვენიროვს მოჰყავს დასჯილთა სტატისტიკა. ამ სიაშია 211 ბრიგადის მეთაური, 373 პოლკოვნიკი, 108 მაიორი, ლეიტენანტი კი სულ 22-ია. ეს ციფრები კიდევ ერთხელ მოწმობენ, რომ შეთქმულებისას მთავარია არა რაოდენობა, არამედ ხარისხი.

რადაც სუვენიროვის ციფრებშიც ბევრი რამ არ ემთხვევა ერთმანეთს.

მეორე ცნობილი ისტორიკოსი ან-ფილოვიც უსაფუძვლოდ ამტკიცებს, რომ ამ რეპრესიებმა სისხლისგან დაცალა არმია. იგივე სუვენიროვი ამტკიცებს, რომ მაშინ არმიაში იყო 1.713 პოლკოვნიკი და მათ შორის რეპრესირებულ იქნა 273 პირი. თანაც, მათ შორის საკმაოდ მცირე იყო სამწიფო ოფიცერთა რიცხვი.

მაგრამ იზოლირებული იქნენ ბუდიონის ადიუტანტი, პოლკოვნიკი აკელიანოვი, საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის პოლიტხელი, პოლკოვნიკი ახვლედიანი, 26-ე ავიაბრიგადის მეთაურის თანამშემწე, პოლკოვნიკი ბალაშოვი, შინსახკომის დივიზიის განსაკუთრებულ დანიშნულების ქვედანაყოფის შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ბარკოვი და სხვა არასამწიფო ოფიცრები. ამრიგად, ძირითადად ჩავარდნენ სამხედრო ჩინოვნიკები, რომელთა შორის მრავლად მოიძებნებოდნენ უკმაყოფილოები.

სულ შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით დააპატიმრეს 8.075 ადამიანი, მაგრამ 1938 წელს არმიის მეთაურთა შემადგენლობაში ირიცხებოდა 240.000 ადამიანი.

თანაც, დაპატიმრებულებიდან ბევრი არ დაუხვრეტიათ და ბევრს არც გულაგის კედლები უხეხია. მათ შორის ყველაზე ნათელი მაგალითია კონსტანტინე როკოსოვსკი. დააპატიმრეს, ორი წელი მიმდინარეობდა გამოძიება, 1940 წლის მარტში კი განთავისუფლებს, წოდებაც აღუდგინეს და თანამდებობაც.

გაგრძელება იქნება

პოვარდი არ მიეკუთვნებოდა საბჭოთა კავშირის თავყანისმცემელთა რიცხვს და მეორე მსოფლიო ომის დროს ევროპაში დასავლეთის ფრონტის გახსნის წინააღმდეგი იყო. ასე რომ, სტალინი სულაც არ ესაუბრებოდა მეგობარს.

— თქვენ ამბობთ, — პასუხობდა იგი, — რომ სოციალიზმის აშენებას ჩვენ შეგწირეთ პირადი თავისუფლება და დავიკელით უამრავი რამ. ამიტომ, თქვენ აზრი გინდებოდა, რომ სოციალისტური სისტემა უგულვებელყოფს პირად თავისუფლებას. ეს არასწორია. რა თქმა უნდა, ყოველი ახალის მშენებლობისას საზოგადოებამ ქამარი უნდა შემოიჭიროს... ახალი სახლის ასაშენებლად ფული უნდა დაზოგო და მომჭირნედ იცხოვრო. სხვაგვარად სახლს ვერ ააშენებ... აქ კი საუბარი ადამიანთა საზოგადოების მშენებლობაზე. ეს საზოგადოება კი ჩვენ ავაშენეთ იმიტომ, რომ ადამიანთა თავი უფრო მეტად თავისუფლად იგრძნოს... ვერ წარმოიდგენია, რა არის თავისუფლება უმუშევარი ადამიანისათვის, ან თუ გონივით, რომ თავისუფალ საზოგადოებას ექსპლოატაცია შობს? იქ, სადაც ადამიანი დღემუდამ იმის შიშითაა ატანილი, რომ სამუშაო ადგილი, სურსათი და სახლი არ დაკარგოს?..

მაშინ პოვარდმა პკითხა:

— საბჭოთა კავშირში მუშავდება ახალი კონსტიტუცია, რაც ახალ საარჩევნო სისტემას ითვალისწინებს. როგორ შეცვლის ეს მდგომარეობას თქვენთან, რადგან არჩევნებში მხოლოდ ერთი პარტია მიიღებს მონაწილეობას?

სტალინი ასე პასუხობდა:

— ჩვენ ძალზე მივიღებთ ახალ კონსტიტუციას. მის მიხედვით არჩევნები იქნება საყოველთაო, თანაბარი და საიდუმლო. თქვენ არ მოგწონთ, რომ მასში მონაწილეობს ერთი პარტია, რაც ასე არაა. გარდა კომპარტიისა, არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს უამრავი უპარტიო საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ასეთი კი ჩვენთან უამრავია.

და ეს არ გახლდათ რიგითი განცხადება. მასში განცხადებული იყო არა მხოლოდ არჩევნების პროცედურა, არამედ საარჩევნო სივრცის შედგენის წესიც!

სტალინი ხალხს აძლევდა პოლიტიკურ “კარტ-ბლანშს” ახალი სახელმწიფოს დაუძინებელი მტრის — ბიუროკრატის წინააღმდეგ!

როგორც საბჭოთა, ასევე პარტიული...

“საყოველთაო ფარული არჩევნები მოსახლეობის ხელში მათრახად იქცევა ხალხის ხელში, რითაც იგი გაუსწორდება ხელისუფლების ცუდად მომუშავე ორგანოებს!”

5 მარტს ეს განცხადება მთელმა ქვეყანამ წაიკითხა. წაიკითხა საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელმა. და სტალინის ეს სიტყვები ყველამ მომავალი ბენიერების საწინდრად და წინასაარჩევნო დარიგებად აღიქვა.

ხალხში ენთუზიაზმი მატებოდა. მაგრამ ეს სიტყვები საბჭოთა ბიუროკრატებმაც და ხელისუფლებას მიტმანინდებდა ვიგინდარებმაც წაიკითხეს... ისინ-

სტალინის პირადი ყოფა

რას ამბობდნენ სტალინზე "იოსებ სტალინს რაღაც განსაკუთრებული ალღო ჰქონდა. მოსხენებებსა თუ დოკუმენტებში სუსტი ადგილების შემჩნევასა იგი იქვე ამჟღავნებდა და არაზუსტი ინფორმაციისათვის მკაცრად სჯიდა დამნაშავეს. მას მტკიცე მესხიერება ჰქონდა, კარგად ახსოვდა ნათქვამი, არ გაუშვებდა შემთხვევას საკმაოდ მკვეთრად დაეტყუა ვინმე რისიმე დავიწყებისატივის, ამიტომ ჩვენ ვცდილობდით შტაბის დოკუმენტები მოგვეზადებინა მთელის გულმოდგინებით, რაც კი იმ დღეებში შესაძლებლობა გვქონდა..."

გიორგი შუკოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი.

ისტორიული დოკუმენტითაა დამტკიცებული სტალინის სკეპტიკური ცხოვრების წესი, მისი ზიზღი ყოველგვარი ფუფუნებისადმი და შესაშური მომჭირნეობა, რაც აბსოლუტურად მიუღებელია დღევანდელ ხელიწვალთათვის. ეს ბარათი, პირადად სტალინის მიერ, 1933 წლის 7 დეკემბერს დაიწერა. სტალინის სემინარი-ისდროინდელმა მეგობარმა, ხაშურის მკვიდრმა პეტრე კაპანაძემ, რომელიც მატერიალურად დიდად შეჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, წერილი მისწერა სტალინს და ფინანსური დახმარება სთხოვა. მიუხედავად საშინელი მოუცლევლობისა, სტალინმა უყურადღებოდ მაინც არ დასტოვა მეგობარი და შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა მას:

“პეტას გაუმარჯოს!
ჩემი დეპეშა, როგორც ჩანს, მივიღია. გიგზანნი ორი ათას მანეთს. მეტი არა მაქვს. ეს ფული ჩემი გონორარია. ჩვენ აქ გონორარს არ ვიღებთ საზოგადოთ, – მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ვიღებთ ხანდახან. შენი გაჭირვება ჩემთვის განსაკუთრებული შემთხვევაა და ამიტომ ავიღე გონორარი, რომ შენთვის გამოვიყენო. გარდა ამ ფულისა შენ მოგცემენ სესხათ 3.000 მანეთს. მე ვუთხარი ამის შესახებ ბერიას (ამიერკავკასიის საოლქო მდივანია), და იმანაც სიტყვა მომცა – უეჭველად აღვასრულებო. მაშ ასე: – 2.000 მანეთი მიიღე, როგორც ჩემი მეგობრული ნობათი, და 3.000 მანეთი – როგორც სესხი.

იცოცხლე მრავალჯამიერ, შენი სოსო. 7.XII.33 წელი”

განა ამის შემდეგ გასაკვირია, რომ საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ კატეგორიულად დააყენოს გორში წამომართული სტალინის ძეგლის აღების საკითხი. ეს ძეგლი ხომ მათში ისეთივე ასოციაციას აღძრავს, როგორც ბოსტანში წამომართული საფრთხილბეგის ჭილა-ყვავილისათვის. კაჟა ბულაგა რომ ამბობს “დათა თუთაშხიაში” ბერძენ მეფის შესახებ: “ერთი მილიონი უკვე მობეჭდა და დიდი ხანია მერე მილიონზე მუშაობს”, სწორედ ისეა ჩვენი ხელისუფლების საქმე: დიდი ხანია ერთი მილიონი (უფრო სწორად – მილიარდი) მობეჭდეს და ახლა მერე (შეიძლება მეხუთე მილიარდზეც კი) მუშაობენ. ამიტომ, რომ ნებისმიერი პოლიტიკური ოპონენტი მათი პირადი მტერია, რადგან პოლიტიკური კაპიტალის დაკარგვასთან ერთად ისინი ფინანსური კაპიტალის კანონის უგულვებელყოფით შოვნის შესაძლებლობასაც დაკარგავენ. ამას კი არასგზით არ დაუშვებს ჩვენი “მოსომხო” ხელისუფლება, რადგან ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოში სომეხი სოფეაგრები დიდ ქონებას ძირითადად საქართველოს დაღატაკის ხარჯზე შოულობდნენ.

მაშ რატომ გგონიათ, რომ სომეხი შვილები სომეხი მამების პრინციპებს უღალატებენ? ახლა თავად განსაზღვრეთ, შეიძლება კი მათ უყვარდეთ ის სტალინი, რომელიც საერთაშორისო შეხვედრებზე დაკემსილი წინდებით დადიოდა და მომჭირნეობის გაკვეთილს აძლევდა დიდ საბჭოთა კავშირს.

სტალინის აზრით...

ანუ რას ფიქრობდა ბელადი საქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე!

რატომ მიიჩნევდა სტალინი საქართველოს რუსეთთან შეერთებას “უმცირეს ბოროტებად”

რატომ უწოდა ნიკო ბერძენიშვილმა სტალინს “განუხრელად ქართველი პატრიოტი”.

სტალინზე ბევრი თქმულა და დაწერილა – მისი ფენომენი დღემდე არავის ამოუხსნია. ამჯერად გთავაზობთ ნიკო ბერძენიშვილის მოგონებებს სტალინთან შეხვედრაზე, რომელიც 1945 წლის ოქტომბერში შედგა სოჭის მახლობლად მდებარე მაცესტას სამთავრობო აგარაკზე.

ნიკო ბერძენიშვილის მოგონებები, რომლებიც ამჟამად კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული, 1998 წელს უწოდებ “ცისკრის” პირველ ნომერში გამოაქვეყნა აკადემიკოსმა ედიშერ ხოშტარია-ბროსემ; უფრო ზუსტად, ეს გახლავთ ნიკო ბერძენიშვილის ჩანაწერები, რომლებიც ცნობილია ისტორიკოსმა სტალინთან შეხვედრისას გააკეთა და საიდანაც ბევრ საინტერესო დეტალს ვიგებთ.

ეს ამბავი კი იმით დაიწყო, რომ მერე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ შავი ზღვის სანაპიროზე დახასხვენებლად მყოფმა სტალინმა საქართველოს კომპარტიის პირველ მდივანს – კანდიდ ჩარკვიანს შეატყობინა, წავიკითხე სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის ახალი წიგნი – “საქართველოს ისტორია” და “თუ ავტორები გაიზიარებენ, საქართველოს ისტორიის შესახებ რამდენიმე შენიშვნა მაქვს”. მოკლედ, თუ წიგნის ავტორთა სურვილი იქნებოდა, სტალინი ისტორიკოსებს თავისთან ეპატივებოდა.

კანდიდ ჩარკვიანი, ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ჯანაშია და ექიმი, პროფესორი მიხეილ წინამძღვრიშვილი სამი დღით (20-23 ოქტომბერი) სტუმრობდნენ სტალინს. * * *

როგორც ნიკო ბერძენიშვილი იხსენებს, სტალინთან შემდეგ საკითხებზე ისაუბრეს:

– “ქართველთა წარმოშობისა და მათი მონათესაობის საკითხი ძველი აღმოსავლეთის კულტურულ ხალხებთან;

– საქართველოს ფეოდალური მონარქიის ხასიათის საკითხი...

– საქართველო გვიან ფეოდალურ ხანაში, ანუ ქართველთა ბრძოლა დაბალი კულტურის ხალხთა (ოსმალები-ყიზილბაშურ) გარემოცვასთან;

– ერეკლეს ბრძოლა საქართველოს გადარჩენისათვის და თავადების როლი სახელმწიფოებრიობის დაცემაში;

– ქართული საზოგადოებრიობის წარმოქმნა-ჩამოყალიბების საკითხი ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში...”

მოკლედ, სტალინთან ხანგრძლივი საუბრების შემდეგ ნიკო ბერძენიშვილს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ “სტალინი ბანუხრელად ქართველ პატრიოტი იყო!”

სტალინმა “საქართველოს ისტორიის” ავტორებს ორ უმნიშვნელოვანეს დეტალზე მიუთითა. პირველი მათგანი ქართველთა და წინა აზიის ხალხების ნათესაურ კავშირებს ეხებოდა:

“ჩვენი წიგნი წინ უდევს, გადაშლის. არ აკმაყოფილებს დასაწყისი თავი. მეტ გაბედულებას და გარკვეულობას სცნობს საჭიროდ ქართველთა მონათესაობა-წარმოშობა-იგივეობის შესახებ წინა აზიის უბნებზე კულტურულ ხალხებთან: შუმერ-სუბარხეთა-ურარტუსთან. კართაგენი (“პართაშენი”) არ მიაჩნია ებრაელთა მონათესავეებად... ასევე ლიბიელები, ბასკები, ეტრუსკები... “ბერძენები გვიან მოვიდნენ, გვიპტელები მათ ავარებს, რაზობინიკებს უწოდებდნენ... ყველაფერი ეს შესასწავლია... მეტი გაბედულებაა საჭირო. აღმოსავლეთის ისტორიის შესასწავლად თქვენ უკეთესი პირობები გაქვთ, ვიდრე დასავლეთ ევროპელთ. კავკასიური ენები, ეთნოგრაფია... სომხები გვიან მოვიდნენ, ალბათ მეჯოგეები, – ურარტუ დაიჭირეს, მოსახლეობა გამოაძევეს ან მათვე შეერივნენ...”

მეორე საკითხი კი, რომელზეც სტალინმა ისტორიკოსებს მეტი ხილმისკენ მოუწოდა, საქართველოს რუსეთთან ურთიერთობას ეხებოდა:

“საჭიროდ მიიჩნია, ბოლოში ითქვას საქართველოს არჩევანის შესახებ, რომ საქართველოს ფეოდალურმა დაშლილობამ და რთულმა საგარეო პირობებმა ბოლო მოუღეს, რომ ირანი და ოსმალეთი ყოველად მიუღებელი იყვნენ: ირანის ხელქვეშ საქართველოს ფერეიდუნელობა ეწოდებოდა, ოსმალეთის ხელქვეშ – ტურმანია (ფეოდალური ურთიერთობის ყველაზე ბარბაროსული ფორმა...), რომ რუსეთში (ბრძანებანი), მართალია, ბოროტება იყო, მაგრამ იმ ისტორიულ პირობებში – უმცირესი. არაფერი გვეთქმის, საეგვიპტო სწორი შენიშვნაა (“То было зло, но в тех исторических условиях то было наименшее зло”)...”

სტალინს პირდაპირ უთქვამს, რატომ უნდა ყოფილიყო “საქართველოს ისტორია” სრულყოფილი:

“Ведь по этой книге должны будут равняться истори Украины, Белоруссии и других республик”.

მეტიც, ნიკო ბერძენიშვილის გადმოცემით, იოსებ სტალინს აშკარად “ანტისაბჭოთა განცხადება” გაუკეთებია:

“ამს. სტალინის განცხადებით, დღეს-დღეობით, რა თქმა უნდა, არავითარი საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორია არ არსებობს...” * * *

ისტორიკოსებთან შეხვედრისას სტალინს ურარტუს ისტორიაზედაც უსაუბრია: “ლაპარაკი იყო ურარტუს სომხურ თეორიაზე. სტალინის აზრი ნათელია: სომხების მოსვლაზე იქ მაღალი კულტურის ხალხი ცხოვრობდა, მომთაბარე სომხები მოვიდნენ. სომხურ თეორიას საფუძველი არა აქვს. სომხები ინდოევროპული ენის ხალხია...”

ნიკო ბერძენიშვილზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია სტალინის ერთ ფრაზას: “Ведь Грузия самостоятельна экономически и культурно”.

სტალინს, როგორც ჩანს, აშკარად სურდა, “ქართველობისთვის” უფრო ფართო მნიშვნელობა მიენიჭებინა და სიმონ ჯანაშიასათვის უკითხავს, შეიძლება რომ დამკვიდრდეს ტერმინი – “ნაშთ-მართულ ხალხთა ჯბუშიო”?.. სიმონ ჯანაშია ამაზე შეუყოყმანებულა, როგორც ჩანს, ერთობ გაბეჭდილად ეჩვენა სტალინის იდეა.

– **Бомтес**, – ჩაჰლიმებია სტალინს. გარდა ამისა, ნიკო ბერძენიშვილი იხსენებს:

“ინტერესებს ტფილისის მოსახლეობის შემადგენლობა, ქართული მოსახლეობის მოძრაობა ტფილისში... როცა ამს. ჩარკვიანმა უთხრა, რომ ქართველები მეტნი არიან, ვიდრე სხვა რომელიმე ერის მცხოვრებნი, მან შენიშნა: а все таки, грузины не имеют абсолютного большинства...” ინტერესებს ქართველთა ჩამოსახლების საქმე

ახალციხის მხარეში, ქლუხორის, იალბუხის, ახალი ხევის რაიონებში.

იწონებს ჩვენი მთავრობის ღონისძიებებს სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის სკოლებში (გაქართულებას)...

ინტერესებს ჩვენი ენათმეცნიერება, ახლო აღმოსავლეთის შესწავლის საქმე... ინტერესებს ჩვენი უნივერსიტეტი, მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები (ასე ვბრძანებ: სურს გაიგონო, რომ ჩვენი უნივერსიტეტი არცერთ პირველთან არ ჩამოვარდებოდა...).

ინტერესებს ჩვენი მედიცინა... ინტერესებს ქართული მეცნიერება საერთოდ, გვაქვს თუ არა მეცნიერების ყოველ დარგში შემუშავებული ტექნოლოგია...

ინტერესებს ქართული ლიტერატურული ენა: საჭიროდ და დროულად მიაჩნია ენის უნიფიკაცია, ილია, ჰამა – საუკმაველი უნდა იქნას უნიფიკაციის უნიფიკაცია...”

თურმე, სტალინი წინააღმდეგი არ ყოფილა, რომ ქართველი ახალგაზრდები სამედიცინო ფაკულტეტს ეტანებინა, მაგრამ საჭიროდ მიუჩნევია სხვა ფაკულტეტების გაძლიერება: იურიდიული, საინჟინროსი...

სტალინი დაეთანხმა ჩარკვიანს, რომ კახეთი დღესაც უმდიდრეს კუთხედ რჩება საქართველოში, მაგრამ ცენტრის მერხეობის განვითარებით, დასავლეთ საქართველო ჩამოართმევს მათ პირველობას... * * *

ნიკო ბერძენიშვილის მოგონებით, სტალინი ძალიან წუხდა თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული მიწების ბედზე:

“ოსმალეთის საქართველო, სწინა, ძალიან სტიკია... ოშხანს ეტებს რუკაზე (სურათი ვაჩვენეთ)... აქ სიტყვაა უწოდებს. თაყაიშვილის წიგნი – “არქეოლოგიური ექსპედიცია თორთომის ხეობაში” – ათავალიერებს... “ეს ყველაფერი ახლა განაღმურებული იქნება...” ლაპარაკობს ლაზთა შესახებ. მათი ენის შესახებ კითხულობს, აღნიშნავს მათ ზღვაოსნობას, გამარჯულებას...”

სტალინს არც ზაქათალა დაევიწყებია: “წუხს ზაქათალას შესახებ. სმრბოს (ორჯონიკიძეს – გ.გ.) ამტყუნებს. ეროვნული საკითხისადმი კომსომოლური მიდგომის შედეგად, ბორჩალოს ბაღაცემამ სურდა სომხების ტოპოსი...” * * *

დაბოლოს, სტალინის დამოკიდებულებას ქრისტიანობისადმი ნიკო ბერძენიშვილი ასე იხსენებს:

“ქრისტიანობა მონობას ანგრევდა და ფეოდალურ ურთიერთობას ასაფუძვლებდა... დღეს სამღვდლოება სულ სხვა რიგად იქცევა და ჩვენც, ჩვენი პროგრამის თანახმად, სარწმუნოების თაყისუფლების შესახებ, თაყისუფლება მიგანიჭეთ ეკლესიას... ქრისტიანობის როლი ემსახურებოდა ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცებას და მონობის მოსპობას. აქედან დასკვნა: ქრისტიანობა ახალი (პროგრესული) საზოგადოების რეალიზაცია, დიდი პროგრესული ძალაა...”

და ამას ამბობდა კომუნისტური საბჭოთა კავშირის უპირველესი საჭეთმკეროებელი – სტალინი – 1945 წელს!

მოამზადა გიორგი გიგაურმა, გაზ. “ახალგაზრდა”, №50, 2009 წლის დეკემბერი.



სტალინის დედა - კეკე

ვიღაცებს მოსკოვი გუგულის ბუდე ჰგონიათ



ლია: ლენინი, ნაპოლეონი, ჩერჩილი, ემილ ზოლა, ჟან-პოლ სარტრი... ზოგი ავი იყო, ზოგი კარგი, მაგრამ ისინი სამშობლოში ჩვენსავე იყვნენ. სტალინს კი ჩვენს ნაცვლად მოსკოვი სწავლობს. იმ დროს, როცა ჩვენ სტალინის ძეგლის აღებაზე დაივიწყეთ ლაპარაკი, მოსკოვმა სტალინის ფენომენისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია ჩაატარა და მსოფლიოსა და ევროპის აკადემიური წრეების წარმომადგენლები მიიწვია. ბოლოს და ბოლოს ის გუგულის კვრები არ არის (საქართველოში გუგულის მეთოდით "შემოკვერცხილი" სხვა უამრავ სომეხთა მსგავსად, რომელთაც მყარად აქვთ ფეხი მოკიდებული ხელისუფლებაში), ქართველია, ლამის 30 წელი საქართველოში იცხოვრა და, მოგეწონს თუ არ მოგეწონს, სწორედ საქართველოში უნდა ვსწავლობდეთ მის ფენომენს. და კიდევ: ასე სწავლობენ რუსეთში პეტრე დიდს. მაგალითად, ლუდმილა კრესტინსკაია, რომელიც პროზაულ ნაწარმოებ "პეტრე დიდს" მეუღლის, ალექსეი ტოლსტოის კარნახით ბეჭდავდა, იტყობს: "ჩემს მეუღლეს არ ექვემდებარება, რომ პეტრე ქართველი მეფის, ერეკლე-1-ის შვილი იყო". ამჟამად რუსი და ბრიტანელი მეცნიერები მუშაობენ ლერმონტოვის შოტლანდიური ფესვების აღმოჩენაზე.

ეს წერილი, რომელიც გაზეთ "კვირის პალიტიკის" ამაწინანდედ ნომერში დაიბეჭდა, გორში წამომართული სტალინის ძეგლის გარშემო ატეხილი დავის გამოახილი გახლავთ. ალბათ ეს უაზრო კამათი კიდევ დიდ ხანს გაგრძელდება, მაგრამ უფრჩვეთ, რომ ძეგლის აღების მსურველებმა ეს წერილი წაიკითხონ და კარგად დაფიქრდნენ – კიდევ რამდენი ჰყავდა საქართველოს ისეთი გენიალური პირი, როგორც სტალინი იყო. "სტალინი ქართველი არ არის, რადგან საქართველოსათვის არაფერი სიკეთე გაუქმებია!" – ყოინებენ უმეტესად და გორისაკენ იწვევენ მისი ძეგლის ასაღებად. უფრო მართებული იქნება იმის მტკიცება, რომ სტალინის საქართველოსათვის არ გაუკეთებია ის სიგლა, რასაც ესენი უკეთებენ – არ უძარცვია ქვეყანა და პირადი ქონების დაგროვებას არ იყო გადაყოლილი. ისტორიაში ჩახედული პიროვნებები კი დაგვეთანხმებიან, რომ სწორედ სტალინის მმართველობის ეამს აღორძინდა საქართველოში მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, განათლება, კულტურა...

ახლა კი ვთავაზობთ ქალბატონ მედეა თავდიშვილის ზემოდახსენებ წერილს: "ამერიკელმა მეცნიერმა მაიკლ პარტმა რამდენიმე ხნის წინ გამოსცა წიგნი სათაურით "ასი ყველაზე დიდი პიროვნება კაცობრიობის ისტორიაში". ამ წიგნში ლაპარაკია იმ პიროვნებებზე, რომელთაც უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს ჩვენი პლანეტის ისტორიის მსვლელობაზე. გენიოსების თანაგარსკვლავადში ყველაზე მეტი გამოგონებელი და მეცნიერი (37 კაცი). მეორე ჯგუფში არიან პოლიტიკოსები და მხედართმთავრები (30 კაცი), შემდეგ ფილოსოფოსები (14), მათ მოსდევს მუსიკის, ხელოვნების და ლიტერატურის კორფები: პომპროსი, შექსპირი, სერვანტესი, ბეთოვენის, მიქელანჯელო, ბახი... ასეული ჭრელი და მრავალფეროვანია. მთელი ლათინური ამერიკა წარმოდგენილია ერთი გენიოსით, აფრიკა – 3-ით, აშშ – შვიდით, აზია – თვრამეტით, ევროპა – 71-ით. მათ შორის ყველაზე მეტი ბრიტანელია – 18, რომელთაგან 5 შოტლანდიელია. დიდ ბრიტანეთს მოსდევს ავსტრია-გერმანია – 15 კაცით, "ბორტების გენიოს" შიტილერის ჩათვლით, საფრანგეთი – 10-ით, რომელიც დაიტალია – 8 კაცით, 4 ესპანელი, ხოლო რუსეთიდან სამი – პეტრე პირველი, ლენინი, სტალინი(!!!)

მეცნიერებმა გენიოსებს ვერავითარი კანონზომიერება ვერ აღმოუჩინეს. ერთ დროს ამტკიცებდნენ, მთავარი ტენის წონააო. თუმცა, მაგალითად, ტურგენევის 2 კილოგრამი და 100 გრამი წონის ტენი ჰქონდა, ანატოლ ფრანსს კი ერთი კილოგრამით ნაკლები, მაგრამ ორივე კლასიკოსი მწერალი გახლდათ. ერთადერთი მეტ-ნაკლებად თვალში საცემი "საერთო მნიშვნელი" ამ გენიოსების სიმადლეა. უმეტესობა საშუალოზე დაბა-

რადგანა, მაგრამ ამით იმის თქმა მინდა, რომ გენიოსებზე მასალები ასწავლებლების შემდეგაც არსებობს.

და ამიტომ, ღირს კი სტალინის ძეგლზე დავის ატეხა?!

P.S. ისე, საინტერესოა, რა დღეშია ჩვენი ისტორიული ძეგლები რუსეთში, მაგალითად, ქართველ მეფეთა საფლავები ასტრახანში, მოსკოვში... რა მდგომარეობაა სოჭში? რუსი მეცნიერები შეშფოთებული არიან, რომ იქ მიმდინარე მშენებლობებმა შეიძლება ფასდაუდებელი ნამარხები შეიწიროს. არქეოლოგებმა სოჭში გამოუცნობს იმობლოებიანი 4.000 წლის ქვის დისკო იპოვნეს. მას ხომ შეიძლება ჩვენთან საერთო ჰქონდეს. თუ პირდაპირ (და რატომ არა?) შეუძლებელია რუსეთის სამეცნიერო წრეებთან დაკავშირება, საერთაშორისო ორგანიზაციების საშუალებით მაინც ხომ შეიძლება ხმის მიწვდენა, რომ ის არ გამოგვეპაროს, რაც ჩვენია!"

რ. შალამბერიძე

რედაქციის მინაწერი – განა სომხები არ ამტკიცებენ საქვეყნოდ, რომ სტალინი (ისევე, როგორც ბუერი სხვა დიდი ქართველი მამულიშვილი) სომეხი იყო? განა ჩვენი მტრული დამოკიდებულება ბელადისადმი სომხებს არ მისცემს იმის მტკიცების ულებას, რომ სტალინი ქართველებს იმიტომ არ უყვართ, რომ იგი ეროვნებით სომეხი გახლდათ? ამიტომ უნდა ავუკრძალოთ კატეგორიულად საქართველოს ხელისუფლებას სტალინის სახელობის განქიქება და გავეუქაროთ გორიდან მისი ძეგლის აღების სურვილი. ასევე სასურველია, რომ თბილისში მტკერის სანაპიროს დაუბრუნდეს სტალინის სახელი. ეს ისტორიული სამართლიანობის აღდგენა იქნება, რადგან სანაპიროს არ შეიძლება ეწოდებოდეს პეიდარ ალიევის სახელი მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ელვარდ შევარდნაძის მეგობარი იყო და ბუერი არაფერი გაუკეთებია საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის.

იქნებ ამაზე დავფიქრდეთ?

გენერლის თვალით დანახული სტალინი

მე ხშირად მეკითხებიან იოსებ ბესარიონის ძე სტალინის როლის შესახებ დიდ სამამულო ომში. მოსკოვისათვის ბრძოლების დროს იოსებ სტალინი მოსკოვიდან ერთი საათითაც კი არ გასულა. იგი კრემლში იყო და აყალიბებდა ძალებსა და საშუალებებს მტრის მოძალებული არმიების გასანადგურებლად. ეს ფენომენი დღესაც არ არის ჯეროვნად დაფასებული, რაც საბჭოთა სამხედრო ისტორიკოსთა დიდ სირცხვილად მიმჩნია. სტალინი გახლდათ სულ სხვა, წი-

ნაღმდებობრივი ბუნების მქონე, მაგრამ აშკარად განუმეორებელი პიროვნება, რომლის დამოკიდებულება ადამიანებისა და საქმისადმი ცალკე შესწავლის საგნად უნდა იქცეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სტალინი გენიალური გახლდათ სტრატეგიული საკითხების განხილვისას და მისი არცერთი დასკვნა არ ექვემდებარებოდა თუნდაც ოდნავ კორექტირებას. აშკარად განიმეორებელი იყო მისი აზროვნების ლოიკა, საერთო ცოდნა, მოვლენებსა და ფაქტებში წვდომის უნარი.

სათავეში ედგა რა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტს და ეყრდნობოდა რა სახალხო კომისარიატების ხელმძღვანელი შემადგენლობის გამოცდილებასა და შრომისუნარიანობას, სტალინი კოლოსალური მუშაობა გასწია აუცილებელი სტრატეგიული რეზერვებისა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ორგანიზებისათვის. თავისი სასტიკი მომთხონელობით, შეიძლება ითქვას, რომ იგი მიუღწევლს აღწევდა.

ისხენებენ ამბავს, როცა სტალინთან თათბირი გაიმართა სამხედრო ქარხნის მშენებლობის თაობაზე. სტალინიმ პროექტს წააწერა "შესრულების ვადა 8 თვე". ეს ცნობა გამოავლენდა აღმონდა მშენებლებისათვის, რადგან, ობიექტის აშენებას მინიმუმ ორი წელიწადი მაინც ჭირდებოდა. მაგრამ შედავებას ვინ გაბედავდა, და მართლაც, ხალხმა დამეები ათენა და რვა თვეში ობიექტი მზად იყო. სტალინიმ როცა გაიგო, თავდაცვითი ციხის დარჩა, რადგან მას თურმე რვა თვე მშენებლებისათვის პროექტის ზოგიერთი წერილობითი დასახუსტებლად მიუცია. მართალია, მშენებლობის ხელმძღვანელები გამომჩინილი მონდომებისათვის დააჯილდოვეს, მაგრამ მაინც მკაცრად გააფთხილეს უყურადღებობისათვის.

მთავარ ბანაკში, სტალინთან მოხსენებით მისვლა, მაგალითად, რუქებით, მისთვის დაუზუსტებელი, საორიენტაციო და, მით უმეტეს, გაზვიადებული ცნობებით მისვლა შეუძლებელი იყო. სტალინი ვერ ითმენდა ალაღბებულ გაცემულ პასუხებს, მოითხოვდა, რომ მისთვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია ყოფილიყო მაქსიმალურად ზუსტი და ამომწურავი.

იოსებ სტალინის მოხსენებებსა თუ დოკუმენტებში უზუსტობებისა და სუსტი ადგილების აღმოჩენის განსაცვიფრებელი აღლო ჰქონდა. ასეთ შემთხვევებში მის განრისხებას სახვართ არ ჰქონდა და დამნაშავეს იქვე სჯიდა ხოლმე. სტალინის ფენომენალური მეხსიერება ჰქონდა, კარგად ახსოვდა თუნდაც წლების წინ ნათქვამი სიტყვა და ძალზე არ უყვარდა, როცა ვინმე რამეს დაივიწყებდა ხოლმე.

ვაი იმ გულმავიწყის ბრალი, რომელიც სტალინთან რამიმ ფაქტის განხილვისას წაბოროთებდა. მკაცრი დატუქსვა გარანტირებული ჰქონდა. ამიტომ, ჩვენ ვცდილობდით შტაბის დოკუმენტები მოგვეზადებინა მთელი გულმოდგინებით, რისთვისაც ისედაც უძილო დამეები გვემა-

ტებოდა. იოსებ ბესარიონის ძის გარეგნობაზე არაერთხელ დაწერილა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ტანდაბალი იყო და შესახედავად არ გამოირჩეოდა, ადამიანებზე მაინც დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. იგი მოკლებული იყო ყოველგვარ პოზიციონარს და თანამოსაუბრის გულს ლამის გლეხური უბრალოებით ივებდა. თვალმისაცემი და მიმზიდველი გახლდათ ლაპარაკის თავისუფალი მანერა, აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარი, ბუნებრივი ანალიტიკური გონება, დიდი ერუდიცია და ფენომენალური მეხსიერება მეტად გამოცდილ და განათლებულ ადამიანებსაც კი აიძულებდა, რომ იოსებ სტალინთან საუბრის დროს ყოფილიყვნენ დაძაბულები და ფხიხელნი.

სტალინის არ უყვარდა ჯდომბა და საუბრის დროს ნელა სცემდა ხოლმე ბოლთას დარბაზში. დროდადრო ჩერდებოდა, ახლოს მიდიოდა მოსაუბრესთან და თვლებში უყურებდა მას. გამოხედვა ჰქონდა ნათელი, გამამირავი. იგი ლაპარაკობდა გარკვევით, ხმადაბლა, მკვეთრად მიჯნავდა ერთ ფრაზას მეორისაგან, თითქმის უსტიკივლადის გარეშე. ლაპარაკობდა ქართული აქცენტით, მაგრამ რუსული ენა ჩინებულად იცოდა და უყვარდა ხატოვანი ლიტერატურული შედარებების, მაგალითების, მეტაფორების ხმარება.

სტალინი იშვიათად იცინოდა, როცა გაიცინებდა, მის სიცოცხლეში აშკარად იკვეთებოდა თუმბორის რამონბა. სტალინიმ კარგად იცოდა ოხუნჯობის ფასი.

სტალინის შესაშური მხედველობა ჰქონდა და უსათვალოდ კითხულობდა სიცოცხლის დასასრულამდე. იყო სოცრად შრომისუნარიანი, იგი ბევრს მუშაობდა საკუთარ თავზე, მუდამ წერდა და კითხულობდა. იყო სხვადასხვა დარგების იმდენად კარგი მცოდნე, რომ მის კომპეტენტურობას განცვიფრებაში მოჰყავდა დარგის სპეციალისტებიც კი. ინფორმაციის სწრაფად შემეცნების უნარი შესაძლებლობას აძლევდა, რომ ერთი დღის განმავლობაში აეთვისებინა იმდენი ფაქტოლოგიური მასალა, რისი დაძლევაც მხოლოდ არაჩვეულებრივი ადამიანისათვის გახლდათ ხელმისაწვდომი.

მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის უაღრესად მიძიმე წლებში ფრონტების ხელმძღვანელობისას სტალინს ეხმარებოდა ბუნებრივი ნიჭი, მდიდარი ინტუიცია. მას შეეძლო სტრატეგიულ ვითარებაში მონახა მთავარი რგოლი, ნახსილებოდა მას და მტერი დაემარცხებინა. ძნელი იყო საომარი ოპერაციების სტალინისეულ ჩანაფიქრებში წვდომა, მაგრამ ომში მთავარი შედეგია და სტალინის მიერ დაგეგმილი ყველა ოპერაცია შედეგადად იყო, რამაც საბჭოთა ხალხს გაამარჯვებინა დიდ სამამულო ომში. უეჭველია, რომ იოსებ ბესარიონის ძე სტალინი ღირსეული მთავარსარდალი იყო.

გიორგი შუკოვი,
საბჭოთა კავშირის მარშალი

„ციტატა-შეხსენება
 “როდესაც სამმა ჭკვიანმა ადამიანმა – სტალინიმ, რუხველტმა და ჩერჩილმა – ომის შემდგომი მსოფლიო გავლენის სფეროებად დაჰყვეს და ივალდებულად იქ სტაბილურობისა და სიმშვიდის შენარჩუნება, სტალინიმ თქვა, რომ ამ დაყოფის მიზანია დედამიწაზე “თუნდაც 50 წლით” მშვიდობის შენარჩუნებაა. როგორ განჭვრიტა!..
 დარწმუნებული ვარ, ჩვენ მალე გავხდებით მოწმენი იმისა, რომ სტალინის მოღვაწეობას სრულიად ახალი შეფასება მიეცემა და ჩემთვის მით უფრო სამწუხაროა, რომ საქართველოში აღმოჩნდნენ ვიგინდარები, რომლებიც სტალინის ძეგლის აღებას მოითხოვენ. ასეთი მიმუხნები ყველგან არიან, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ საქართველოში მათ სრული კარტბლანში აქვთ. ისტორია მალე მოიშორებს ამ ქაფს და ყველა მიიღებს იმ შეფასებას, რასაც რეალურად იმსახურებს...”
ალექსანდრე ჭაჭია“

სტალინის საილუმო პრეზენტი

რას ამბობდნენ სტალინიზე

“სტალინის ძალიან უყვარდა ლიტერატურა, ყველა სხვა ხელოვნებასთან შედარებით, ყველაზე საპატიოდ, ყველაზე გადაამწვევებდა თელიდა და, აქედან გამომდინარე, ისეთად, რომელიც თითქმის დანარჩენს აყალიბებდა. უყვარდა კითხვა და შემდეგ წარსულზე საუბარი. დაწერილებით ასსოვდა წიგნები. დარწმუნებული ვარ მას საკუთარი მხატვრული ჟინიც გააჩნდა, რომელიც შეიძლება მის ახალგაზრდობაში მისი პოეზიის სიყვარულისაგან მომდინარეობდა...”

კონსტანტინე სიმონოვი, მწერალი.

ეს ამბებიც უნდა გაითვალისწინოთ იმის გაგებისათვის, თუ როგორ ვითარებაში უხდებოდა მუშაობა იოსებ სტალინს. რითი იყო განპირობებული მისი გადაწყვეტილებები, რომლებიც ახალ თაობას შესაძლებელია მეტისმეტად მკაცრად მოეჩვენოს.

მე ვესწავლე გავანათო სტალინის ხასიათის ის ნაწილი, რომელსაც უფრო ვიცნობ, მაგრამ ეს სახე მრავალფეროვანია. კარგი იქნება, თუ გამოინახებინათ ადამიანები, რომლებიც შეეცდებიან გააშუქონ მისი განსაკუთრებული თვისებები, სტალინის სხვა საქმეები. შესაძლოა მაშინ მივიღოთ მისი სრული პორტრეტი, რაც საჭიროა არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ შთამომავლობისთვისაც, რა თქმა უნდა, ისტორიული პროცესების უკეთ გაგებისათვის. როგორც არ უნდა განსაჯო, კარგად თუ ცუდად, ერთი უდავოა, სტალინის მსგავსი ადამიანები ჩვენს პლანეტაზე ბევრი როდი იყო, ჩამოსათვლელად თითქმის საკმარისია.

ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის მძიმე წლებში, სტალინი, რომლის ხელშიც თავმოყრილი იყო სამხედრო და სამოქალაქო მმართველობის ყველა ძატი, ჩრდილში დგომას ირჩევდა. ცარიცინისათვის ბრძოლის დროს რკინიგზის სადგურში დაყენებულ ვაგონში ცხოვრობდა და არა ქალაქში. იგი არ იყო ის კაცი, რომელსაც შეეძლო შთაბეჭდილება მოეხდინა ბრბოზე, ადვანსო ისინი, ამიტომაც არ აკეთებდა იმას, რაც სხვას შეეძლო გააკეთებინა. არ უყვარდა ხალხში თვალის სასიეროდ გამოხევა, სიტყვის წარმოთქმა. სამაგიეროდ მას ჰქონდა ნიჭი, რაც იშვიათად თუ შეხვდება ვინმეს. სტალინს უყვარდა განსჯა, აწონ-დაწონა, შეეძლო კიდევ სხვებისთვის ქსელის გაბნობა, აუცილებლობით ნაკარნახევი ვითარების შემზადება, შემდეგ კი ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება და მისი განხორციელებისათვის შეუპოვარი ბრძოლა. იოსებ ბესარიონის ძე მოქმედებდა გამოზომილად, დინჯად, თანმიმდევრულად და დაუინტერესებლად, თითქოს ძალ-ღონეს იზოგავსო.

გამარჯვების შემდგომ წლებში, ინდუსტრიალიზაციის პროგრამა, რომელიც ჩამოაყალიბა სტალინმა, არავისში იწვევდა ეჭვს. ყველაფერი მასში წინასწარ მოფიქრებული იყო სწორად და გამოწონილად. მართლაც, ინდუსტრიალიზაციის არსი ვლინდება არა უბრალოდ წარმოების ზრდაში, არამედ მისი გულისხმულში – მანქანათმშენებლობის დარგში, მის განვითარებაში, რამეთუ, მას შეუძლია სოციალისტური ქვეყანა კაპიტალისტებისაგან დამოუკიდებელ მდგომარეობაში ჩააყენოს.

ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლის არსი მდგომარეობს შემდეგში: შრომის წარმადობის ამაღლება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლა, ეკონომიკის რეჟიმის გამოკვრება, ყველაფერი ეს კი უდავოა. ასეთი პროგრამის გამო ხალხის დარწმუნება იყო საჭირო იმაში, რომ ყველაფერი ეს მათ საკეთილდღეოდ კეთდება. მაგრამ ქვეყანაში უამრავი სეკპტიკოსი აღმოჩნდა. ერთნი ამბობდნენ: „ჩვენ თვითონ ამის ძალა და

შესაძლებლობები არ გავაჩნია, სულ ერთია, დასავლეთს უნდა დავეხაროთ თაგი“.

მეორენი კი გაიძახდნენ: „რათ გვინდა ინდუსტრია, განა უკეთესი არ არის, დავრჩეთ აგრარულ ქვეყანად და ხალხის საჭიროებისათვის განვაგვიტაროთ მსუბუქი მრეწველობა“.

სტალინიმა გაითვალისწინა რა მსოფლიოს გამოცდილება და ქვეყანაში შექმნილი ვითარება, ჩამოაყალიბა ნათელი, სწორი და ყველახათვის გასაგები, ჩვენი წარმოების საკუთარი ძალებით განვითარებისათვის საჭირო ამოცანები.

მე, და არა მხოლოდ მე, მომწონდა სტალინი, რომელსაც თავი დიდი სახლის – ჩვენი სამშობლოს სრულ პასუხისმგებლად მიანდა, დღემუდამ ზრუნავდა ქვეყნის მომავლისათვის და მუდამ წინ იმზირებოდა.

ჯერ კიდევ ოციანი წლების ბოლოს, განა მან არ წამოაყენა ყაშირი და ნასენი მიწების ათვისების იდეა?

განა მის ხელში არ აღმოცენდა ქალაქი „კომსომოლსკ ნა ამურე“?

განა მის დროს არ დაიწყო „ბაიკალ-ამურის“ სარკინიგზო ხაზის გაყვანის სამუშაოები?

გაიხსენეთ ორი ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ საჭირო „ვოლგა-დონის“ არხი და ცნობილი „ბელომორკანალი“.

რომელთაც დიამეტრალურად შეცვალეს საბჭოთა კავშირის სამდინარო-სატრანსპორტო გზების ქსელი.

მან გადაწყვიტა საბჭოთა კავშირის დედაქალაქის სასამელი წყლით მომარაგების საკითხი და სხვა პრობლემები.

ეს დიდი საქმეები ხომ იოსებ სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით კეთდებოდა.

სტალინს გარდაცვალების შემდეგ საყვედურობდნენ, რომ თითქოს, მრავალი დიდი მშენებლობა მაშინ საწყალი პატიმრების ხელით კეთდებოდა. მაგრამ ამ დიდ მშენებლობებზე თავისუფალი მოქალაქეები ბევრად მეტნი იყვნენ, მუშაობდნენ წითელარმიელებიც, ხოლო პატიმრები ძირითადად საკუთარი სურვილით მუშაობდნენ და საკმაოდ მაღალ ანაზღაურებასაც იღებდნენ, რომელსაც მხოლოდ მათი კვებისა და ტანსაცმლის ღირებულება აკლდებოდა. მათ ჰქონდათ დაწესებული სხვა შეღავათებიც და საპატიმრო ადგილებიდან ვადაზე ადრე განთავისუფლების გარანტია. ამ პატიმრებს შორის ბევრი კომუნისტიც იყო, რომლებიც ამ შრომაში ნუგეშს ხელაგდნენ და იცოდნენ, რომ ისინი შრომობდნენ არა პირადად სტალინისათვის, არამედ მათი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სტალინიმა მიაღწია იმას, რაც მანამდე არავის მიუღწევია:

– ყოველი მოქალაქე მიმაგრებული იყო გარკვეულ ადგილზე და ეწეოდა განსაზღვრულ საქმიანობას – ზოგი ხელმძღვანელობდა, ზოგი ქვანახშირს იღებდა ან მანქანებს ქნინდა, მეხამენი ორგანიზებულად საქმიანობდნენ ფერებში. ყველაფერი სამართალდამცავი ორგანოებით იყო დატყული, და მთელ ამ პირამიდას სტალინი ავტორიტეტივებდა.

როგორც მთის არწივი, ისე აღევნებდა თვალს ცხოვრების მიმდინარეობას და ბოლოს ირწმუნა, რომ ბედმა არგუნა ხალხთა მასების წინამძღოლობა, „ისტორიის შექმნა“.

ხალხი შეპყრობილი იყო ენთუზიაზმით, ხალხს სწამდა, რომ არ არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, რომლის აღებასაც ვერ მოახერხებენ კომუნისტები სტალინის ხელმძღვანელობით. რაღაც ათ წელიწადში დაძლეულია ეკონომიკური უფსკრული, რომელიც ჰყოფდა საბჭოთა სახელმწიფოს მალაღვანელობით კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან. წარმოებული პროდუქციის რაოდენობით ქვეყანა მეორე ადგილზე გავიდა მსოფლიოში. უკვე გეგმონდა საკუთარი ტანკები, ტრაქტორები, მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები, საოკეანო გემები და წყალქვეშა ნავები, რეაქტიული თვითმფრინავები, ორთქმავლები...

განა ეს სასწაული არ იყო?

1937 წელს მინდვრებსა და პლანტაციებზე აღებული იქნა სარეკორდო მოსავალი. პირველადი მოხმარების საგნებსა და აუცილებელ საკვებ პროდუქტებზე ლამის სიმბოლური ფასები დაწესდა. რამდენიმე წლის წინ დიდ გასაჭირში მყოფმა საბჭოთა კავშირმა საბოლოოდ დაიხსნა თავი შიმშილის კლანჭებიდან, ხალხს აქვს ადგილობრივი წარმოების ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, მთელი თვალუწვდნელი ქვეყანა საყოველთაო-სავალდებულო სწავლებაზე გადაყვანილი, სწავლა-განათლება კი უფასოა. ამაზე ადრე ხალხი ვერც კი იოცნებებდა. საბჭოთა კავშირი ერთ მთლიან ოჯახად ჩამოყალიბდა, სადაც ყველა ერთ სოციალურად, ეკონომიკურად და იურიდიულად თანასწორუფლებიანია.

სამწუხაროდ, იყო გადახრებიც და ღალატიც.

1938 წელს ვეშენსკიში დაიჭირეს რაიონის მთელი ხელმძღვანელობა, რაიონის პირველი მდივნის ჩათვლით. დიდი საბჭოთა მწვერალი მიხეილ შოლოხოვი სტალინთან მივიდა და დააჯერა, რომ ვეშენსკელები ხალხის მტრები არ შეიძლება იყვნენ, რადგან ჩემი მეგობრები არიანო. გაარკვეეს, რომ პატიმრები ყალბი ბრალდებით იყვნენ დაკავებული და ისინი განათავისუფლეს, რამაც საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ევოვის რისხვა გამოიწვია, რადგან მისი უწყების ავტორიტეტი შეირყა. ევოვა გადაწყვიტა, რომ შური ეძია და განადგურებინა მწვერალი.

მაღე, ევოვის უშუალო მითითებით დააპატიმრეს შოლოხოვის მეგობარი კახაკი ლუგოვი, რომელიც თითქოსდა დონის მოჯანყება ხელმძღვანელი გახლდათ. ამას მოჰყვა დაპატიმრებათა სერია. ციხეებში გამოწყვედულ უდანაშაულო კახაკებს უმოწყალოდ სცემდნენ და აშინებდნენ, რათა გამოძიებისათვის სასურველი ჩვენება მიეცათ მიხეილ შოლოხოვის წინააღმდეგ. მწვერალმა ეს რომ გაიგო, მეგობრებისა და საკუთარი თავის გადასარჩენად კვლავ სტალინთან წავიდა მოსკოვში.

იოსებ სტალინიამ ამ საკითხთან დაკავშირებით პოლიტიბუროს სხდომა მოიწვია. მოლოტოვმა რეპლიკით მიმართა დონის შინსახკომის უფროსს: „ეინ მოცათ ამ ხალხის დაპატიმრების უფლება?“

ნინოვამხდელი უფროსის პასუხი ასეთი იყო: „განკარგულება შეთანხმებული იყო ამხანაგ ევოვთან!“

– არა, – წამოდგა ევოვი, – მე არაფერი ვიცი ამის თაობაზე.

– თქვენ ძალიან ცუდი მეხსიერება გაქვთ, ამხანაგო, ევოვი – მკაცრად მიმართა სტალინიამ, – თქვენ პრაქტიკულად უთავოდ დატოვეთ როსტოვის მთელი პარტიული ორგანიზაცია და სხვა ორგანიზაციებიც!

ევოვმა, რა თქმა უნდა, დიდი და გამოუსწორებელი შეცდომა ჩაიდინა, რასაც არავის აპატიებდა იოსებ სტალინი. ერთხელ მან უკვე დაიცვა შოლოხოვი და მისი მეგობრები. სტალინის არჩევანი ნათელი იყო, მაგრამ ძალაუფლებით დამოვრალმა ევოვმა გადაწყვიტა შემოვლითი გზით გასწორებოდა დიდ მწვერულს შოლოხოვს. იგი არ დაემორჩილა სტალინის აზრს და ამით მსჯავრი გამოუტანა საკუთარ თავს.

შემატიანის ცნობით, ისედაც დრო იყო, რომ ევოვი შინსახკომის მმართველობიდან მოეშორებინათ, რადგან მან სისხლის ზღვა დააყენა საბჭოთა კავშირში. მაღე, ევოვი, თავის მრავალრიცხოვან თანამებრძოლებთან ერთად დააპატიმრეს და თითქმის ყველანი დახვრიტეს.

ევოვის დაპატიმრების შემდეგ სტალინიამ მითითება მისცა, რომ დაწერილებით გამოეკვლიათ მრავალი დაპატიმრებულის საქმე და მათი სასამართლო პროცესი. დაკითხეს ყველა, ვინც დაკითხვას აწარმოებდა. გაირკვა, რომ პატიმრებს უდმერთოდ აწამებდნენ და მათ მიერ დანაშაულის აღიარება ხდებოდა ძალდატანებით და ყველა ბრალდება სიცრუე იყო.

საბოლოოდ ეს დამნაშავენი, ევოვის

მხარდამჭერი გამოძიებლები, გაასამართლეს და მათ შესაბამისი განაჩენი გამოუტანეს. მართალია, შემდეგ მრავალი ვინმეს დალატი გამოვლინდა. დამსახურებულ სასჯელს ვერაფერს გაექცა.

კ. უსპენსკი
ნაწვეტი წიგნიდან „სტალინის საილუმო მრეწველი“.

ალაიანაბო, იყავით ფრთხილად!

იულოუს ფუნქიის ეს საბედისწერო შეახილი არასოდეს ყოფილა ისეთი აქტუალური, როგორც დღესაა.

დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე პროცესები აშკარად დამაფიქრებელია. კაცობრიობა რეალური კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. გუტქერით კადრებს ტელეეკრანებზე და შეგზარათ დანახული სინამდვილე: როგორ ანგრევენ, როგორ აფეთქებენ, როგორ ბომბავენ და როგორ ხოცავენ ერთმანეთს. წამების როგორ მეთოდს არ მიმართავენ. უყურებთ და ფიქრობთ: ნუთუ ესენი ადამიანები არიან, რომელთაც აზროვნების უნდა გააჩნიათ?

საიდან ამდენი საღიზიმი, ბარბაროსობა, მათ მოქმედება რას უნდა შევადაროთ, რომელი პირუტყვის საქციელს? ყველაზე საშინელ და დაუნდობელ მხეცსაც არ შეიძლება შეურაცხყოფა მივაყენოთ მათთან შედარებით.

ნუთუ ადარ არსებობს რაიმე კომპრომისი? მაგრამ არის რაღაც ლტოლვა სიმადლისაკენ, კარიერისაკენ, ანგარებისაკენ, სადაც არ ინდობენ მოკეთეს, მას და შეიღსაც კი. ძალიან ხშირად, ამ სიმადლის მწვერვალი ეშაფოტით მთავრდება.

ცალკეული ადამიანები ხელს ჩაიქნევენ და იტყვიან: „ასეთი კატაკლიზმი ბევრი ახსოვს ისტორიასო“, მაგრამ ნუ გავიწყლებათ, რომ მაშინ მშვიდ-ისრებით იყო ბრძოლა, დღეს კი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ბირთვული იარაღია განთავსებული.

ზოგი კაპიტალის დაგროვებით არის გართული, მაგრამ ვერ ხედება, რომ იმ ტოტსა სტრის, რომელზედაც თავდადა მოკალათებული. მოვლენები ნელ-ნელა ვითარდება, ყველა ქვეყანა კონკრეტულში ერთდება. „ადამიანს თავისი აზროვნების მხოლოდ 12-17 პროცენტი აქვს რეალიზებული, როდესაც შეუძლია შექმნას ის სამოთხე დედამიწაზე, რომელსაც „წმინდა მამები“ საიქიოში ჰპირდებიან“.

ჩინური ანდაზა გვეუბნება: „ადამიანებმა მიწაზე ერთად რომ დაჰკრან ფეხი, მიწისძვრა იქნება, ერთად რომ ამოისუნთქონ, ქარიშხალი იქნება“. ეს ხომ სტიქიაზე მიგვითითებს, რომელიც ერთობაშია ჩადებულა. მაშ რატომ არ შეიძლება სამყაროს გადარჩენა, ეს ხომ ადამიანობის გამართლება იქნებოდა. ნეტა, რას ვერჩით მომავალ თაობებს?

შეგვიღის მოძღვრება გვარწმუნებს: დედამიწაზე ყოველ დღე ყოველ საათს მიმდინარეობს ევოლუციური პროცესი, რომელიც პიროვნებას (ადამიანს) შეუძლია დააჩქაროს ან შეაფეროს. ესე იგი, ადამიანს კატასტროფის დაჩქარებაც შეუძლია და დაყოვნებაც. იფიქრეთ და გონს მოდით – დედამიწის გარდა სხვა საცხოვრებელი ჩვენ არ გავაჩნია. ეს არის გაფრთხილება ყველა ქვეყნისა, ყველა ერისა და ყველა რელიგიის მიმართ.

დ. ჯანგულაშვილი



იაკობ ჯულაშვილი გერმანელთა ტყვეობაში

სტალინი: "ღმერთის მათრახი"...

დღესდღეობით, რუსეთში არსებულ გამოცემებში და პუბლიკაციებში, რომლებიც მასონთა თემს ეხება, ძირითადად გაშუქებულია რევოლუციამდელი ეპოქისა და "გარდაქმნის" შემდგომი პერიოდის მასონობის ისტორია. მაგრამ სუკის საიდუმლო არქივების გახსნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ 1920-1935 წლებში საბჭოთა კავშირში საკმაოდ სერიოზული მასონური ორგანიზაციები არსებობდა. მასონური ისტორიის მეკვლევეარებმა, მათ შორის ვიქტორ ბრაჩევიჩი აღმოაჩინა უამრავი საინტერესო ფაქტი რუსეთში იუდა-მასონთა კლანური სისტემის არსებობისა, რომელსაც 30-იან წლებში სტალინმა მტკიცე ხელით მოუღო ბოლო. ავტორის განცხადებით, სტალინმა 1918 წლიდან იცოდა ებრაელთა მზაკერული გეგმები მსოფლიო იუდაური მთავრობის შექმნის თაობაზე, თუმცა ლენინის გარდაცვალების შემდეგ მას არ შესწევდა ძალა ერთიანი დარტყმით გაენადგურებინა ტროცკისტული ხროვა, ამიტომ, წლების მანძილზე სტალინმა ეტაპობრივად შეძლო ამ საშინელი მონსტრის მოშორება და საბჭოთა რუსეთი ჟიდო-მასონური უღლისგან იხსნა.

მხოლოდ 90-იანი წლების მეორე ნახევარში გახდა ცნობილი სიმართლე იმის თაობაზე, რომ სტალინი შეეპოვნა "უსამშობლო კოსმოპოლიტ ტროცკისტებს" და სასტიკად დაამარცხა ისინი. "გარდაქმნის" შემდგომ, როდესაც პრომასონური ორიენტაციის მქონე მიხეილ გორბაჩოვის მოვალეობა მთავრობამ რუსეთი კიდევ ერთხელ გაიყვანა, ცნობილია რუსმა ისტორიკოსმა ფ. ივანოვმა დიდი ტრიბუნის იხსნა ტროცკის სიტყვები წარმოთქვა: "აი, შედეგი, იმ სამაგიეროს გადახდისა, რაც სიონოდემოკრატიულმა მსოფლიო მთავრობამ სტალინსა და რუსეთს გადაუხადა".

სამწუხაროდ, სტალინმა მინც ვერ შესძლო, რომ საბოლოოდ აღმოეფხვრა მასონიზმი საბჭოთა კავშირში. სტალინის ეპოქაში მათ დრმა იატაკქვეშეთში გადაინაცვლეს და მხოლოდ გორბაჩოვ-ცინის ანტიეროვნული პოლიტიკის ფონზე გადაყარეს ნიღბები და დაუფარავად გამოვიდნენ სააშკარაოზე.

რუსი აკადემიკოსის ნიკოლოზ ლიხაჩოვის თქმით, დღეს უდავოა, რომ 1917 წლის ბოლშევიზმის იდეოლოგები მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ რუს მასონებთან. სახლდარგარეთ არსებული რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მიტროპოლიტის ანტონის თქმით: "...მასონურმა ბნელმა ხელმა მთავარი მონაწილეობა მიიღო მართლმადიდებელი რუსეთის განადგურებაში".

რომ არა სტალინი, რუსული მართლმადიდებლობა ამოიძირკვებოდა და ამით განხორციელდებოდა მასონთა მრავალსაუკუნოვანი ოცნება - ებატონათ მთელს მსოფლიოზე.

1989 წელს რუსულ პრესაში გამოქვეყნდა ცნობილი ისტორიკოსის ვინოგრადოვის წერილი, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საიდუმლო არქივებში აღმოჩენილ დოკუმენტს, რომელიც ასახავდა მასონური მოსკოვის - "საფრანგეთის დიდი აღმოსავლეთი" მჭიდრო კავშირებს ლევ ტროცკისთან, კარლ რადეკთან და ნიკოლოზ ბუხარინთან. გარდა ამისა, ისტორიულ დოკუმენტებში ნახსენებია მასონური ლოკა "are travel", რომლის წევრიც იყო ხინოვიევი. აღნიშნულ გამოძიებას მოჰყვა საკმაოდ სკანდალური მასალების

ამოტივტივება, რომელთა შორის დიდ ინტერესს იწვევდა ე.წ. "კრემლის ლოკის" არსებობა, რომლის ჩამოყალიბებაც XX საუკუნის 20-იანი წლებით თარიღდება.

ახლა თუ ხვდებით, ძვირფასო მკითხველო, თუ როგორი ბოროტი ძალა დაამარცხა სტალინმა და იხსნა რუსეთი მასონების ბრჭყალებისაგან, თუნდაც ორმოცდაათი წლით.

ამ თემასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს იუგოსლავი ისტორიკოსის ზორან ნანეზინის წიგნის "მასონები იუგოსლავიაში". ავტორი ხაზს უსვამს საბჭოთა ავიაციის მარშლის ტუხანევის ვიზიტს რომის ერთ-ერთ მასონურ ლოკაში, 1931 წელს, სადაც იგი შეხვდა იტალიის მასონთა წამყვან ფიგურებს. ამავე წიგნიდან ირკვევა, რომ "კრემლის ლოკის" სრულფასოვანი წევრი გახლდათ ცნობილი საბჭოთა ჩეკისტი, შინასკომის მე-9 განყოფილების უფროსი გლეხ ივანეს ძე ბოკია, რომელიც 1937 წელს გამოაშკარავეს და დახვრიტეს.

სტალინის დიდი ძალისხმევით შედეგად "კრემლის ლოკაში" 1937 წელს შეწყვიტა არსებობა. ნანეზინი სტალინის "ღმერთის მათრახს" უწოდებდა, რომელმაც ჯერ კიდევ 1930 წელს დაიწყო ბრძოლა მასონების წინააღმდეგ.

XX საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთში შეიქმნა 11 საკმაოდ ძლიერი მასონური ლოკა, რომელიც ევროპიდან იმართებოდა. 1917 წლის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ისინი ბოლშევიკებს დაუდგინენ გვერდით და "ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა" დაიბრალეს. თუმცა ამ ცრუ მისიამ შედეგი ვერ გამოიღო და მასონებს 1937 წელს მოვლათ ბოლო. ესენი იყვნენ "რევოლუციონერები" კრასინი, სოკოლოვი, კოზლოვსკი, ფონ მეკი, მანუალომა, სერედა, ლუნანარსკი, სკობოლევო, ბოკია, ჯუნკოვსკი, გრომანი და სხვები.

იოსებ სტალინის მიერ ჩამოყალიბებულმა პოლიტიკური და სოციალური დაცვის სახელმწიფო სისტემამ გაამართლა და 1939 წლისათვის უკვე ლიკვიდირებული იყო თითქმის ყველა მსხვილი ბოლშევიკურ-მასონურ-ანარქისტული ორგანიზაცია თუ ორგანი. სტალინმა დამაჯერებლად გაიმარჯვა მაშინ, როცა სამოქალაქო ომგადტანილი საბჭოთა რუსეთი იმყოფებოდა უადრესად მძიმე ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში, რაც მისი პოლიტიკური გუნდის მიერ ზუსტ და ჭკვიანურად გათვლილ სტრატეგიაზე მიუთითებს.

მასონთა ძირითადი სამოქმედო გეგმა საუკუნეთა განმავლობაში არ იცვლება და მისი არსი მდგომარეობს შემდეგში:

- დაამყარონ ერთიანი მსოფლიო მმართველობა, გაერთიანებული ეკლესიითა და ფულადი სისტემით. აღსანიშნავია, რომ პროგრამამ, ერთიანი ეკლესიის შექმნით, მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ 1920-1930 წლებში (გავისხვინოთ "ობნოვლენცების" ეკლესია რუსეთში);
- საბოლოოდ გაანადგურონ ეროვნული თვითშეგნება;
- ეტაპობრივად დაშალონ ქრისტიანული ეკლესია (განსაკუთრებით მართლმადიდებელი აღმსარებლობით) და გადააქციონ იგი სექტანტურ მიმდინარეობად;
- მოახდინონ თითოეული ადამიანის კონტროლი - ტექნოტრონიკის პროგრამით, რაც ითვალისწინებს მსოფლიო მოსახლეობის დანომრდ ბიორობობტებად გადაქცევას;
- გაანადგურონ განვითარებადი ქვეყნების მძიმე ინდუსტრია, რის შემდეგაც მათი ეკონომიკა დამოკიდებული იქნება მსოფლიო ცენტრის ოლიგარქია ინტერესებზე;
- ნარკოტიკებისა და პორნოგრაფიის ლეგალიზება;
- მსოფლიოს უდიდეს ქალაქში მოსახლეობის შემცირება პოლ პოტის პროგრამით (აღნიშნული რეჟიმით ხდებოდა კამბოჯის მოსახლეობის რიცხ-

ვობის მკაცრი კონტროლი);

- ყველანაირი სამეცნიერო სამუშაოების შეწყვეტა, გარდა იმ გამოკვლევებისა, რომელსაც კომიტეტი ჩათვლის საჭიროდ;
- მცირე ერთა მორალური განადგურება და მშრომელთა კლასის ნიჰილისტურ მასად გადაქცევა, რითაც ამჟამად დაკავებულია ისეთი ელიტარული მასონური დაჯგუფება, როგორცაა "რომის კლუბი";
- არ დაუშვან ერთა თვითგანვითარება და საბოლოო დამოუკიდებლობა, რისთვისაც აუცილებელია მოახდინონ ხელოვნურად შემზადებული პოლიტიკური კრიზისები, რომელთა მართვის სადავეებს თვით კომიტეტი გააკონტროლებს;
- შეიქმნას რაც შეიძლება მეტი რელიგიურ-პოლიტიკური კულტი, რითაც ადამიანები დაივიწყებენ ჭეშმარიტ ღმერთს და ეთაყვანებიან ხელოვნურად შექმნილ კერპებს;
- გლობალური მასშტაბით მოხდეს რელიგიური თავისუფლების იდეის აგიტაცია, რომელიც მომდინარეობს იესუიტთა თავისუფალი იდეოლოგიის დოქტრინიდან, რომელმაც ასახვა პოვა პროკომუნისტური მოძრაობის მანია კნოლის მისიის (Mani Knoll Mision) სახით;
- მსოფლიო ეკონომიკაში საყოველთაო კრიზისის შექმნა, რაც გამოიწვევს საერთაშორისო პოლიტიკურ ქაოსს;
- საყოველთაო დახმარება გაეწიოს ისეთ ორგანიზაციებს, როგორცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, მსოფლიო სავალდებულო ფონდი, მსოფლიო ბანკი და მათ დაქვემდებარებაში მყოფ ყველა მცირე გაერთიანებებს;
- საყოველთაო აგენტურის აპარატის შექმნა, რაც ითვალისწინებს "მეზოთუ კოლონი" დაჯგუფებათა ჩამოყალიბებას მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ასევე დივერსიისა და შპიონაჟის საერთაშორისო ქსელის დაკომპლექტებას, რაც ხელს შეუწყობს კომიტეტის სრულფასოვან მუშაობას;
- ძნელად მისახვედრი აქ არაფერია! თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი ანტიქართული სულისკვეთების მქონე ხელისუფლების წყალობით აქ ჩამოთვლილ უბედურებათა მეტ წილს სასათბურე პირობები აქვს შექმნილი ბედკრულ ქვეყანაში კარგად უნდა გავიაზროთ, თუ ვის ხელში ვიმყოფებით და საით მიექანება ჩვენი მრავალტანჯვაგადატანილი საქართველო.
- აქვე უთავაზობთ პენტაგონის, 300-თა კომიტეტის და ნატოს უგიდით მიმდინარე სამხედრო ოპერაციების ქრონოლოგიურ ჩამონათვალს:

1. ატომური ბომბების ჩამოყრა იაპონიაში, როცა ამის საჭიროება არ არსებობდა. დაიხორცა და დასახინდა ასი ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე;
2. 1948-1953 წლები - დამსჯელი ოპერაციები ფილიპინელი ხალხის წინააღმდეგ (დაიღუპა რამდენიმე ათასი ადამიანი);
3. 1950-1953 წლები - მილიონობით ამერიკელი მეომარი შეიჭრა კორეაში. დაიღუპა ასი ათასამდე ადამიანი;
4. 1964-1973 წლები - დამსჯელი ოპერაციები ლაოსში. დაიღუპა რამდენიმე ათასი ადამიანი;
5. 1964 წელი - სისხლიანი ტერორი პანამაში;
6. 1965-1973 წლები - სამხედრო აგრესია ვიეტნამის წინააღმდეგ. ცხრაწლიანი საომარი მოქმედებების შედეგად დაიღუპა ნახევარი მილიონი ადამიანი;
7. 1970 წელი - აგრესია კამბოჯის წინააღმდეგ. დაიღუპა ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე;
8. 1982-1983 წლები - დამსჯელი ოპერაციები ლიბანში;
9. 1983 წელი - სამხედრო ინტერვენცია იორდანიაში, დაიღუპა ასობით ადამიანი;
10. 1983 წელი - სამხედრო თავდასხმა ლიბიაზე, ტრიპოლის დაბომბვა;
11. 1989 წელი - თავდასხმა პანამაზე. დაიღუპა ათასობით ადამიანი;
12. 1991 წელი - ფართომასშტაბიანი საომარი ოპერაციები ვრაჟში;
13. 1992-1993 წელი - სომალის ოკუპაცია. დაიღუპა ათასობით ადამიანი;
14. 1999 წელი - სამხედრო აგრესია იუგოსლავიაში. დაიღუპა ათასობით ადამიანი.

წერილს დავასრულებთ რელიგიური მონღალიზმის აპოლოგეტის, ინგლისელი მასონის ჯეიმს ფუტის სიტყვებით: "ჩვენი გამარჯვება ახლოსაა, ჩვენს მივადწევთ რელიგიურ ერთიანობას, ჩვენს გვერდით სექტანტურ დაჯგუფებათა გარდა დგას ისეთი ძლიერი ძალა, რომელსაც ინტელიგენცია ჰქვია. ეს თავდაჯერებული უზუნრები საუკუნეების მანძილზე ებრძვიან და ძირს უთხრან ქრისტიანულ ეკლესიას და ჩვენს მიერ დატრიალებულ წისქვილზე ასხამენ წყალს".

თითქმის იგივეს, მაგრამ უფრო ღიად და თავხედურად აცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი, მასონი ზბიგნევ ბუჟინსკი: "კომუნისმის დაცემის შემდეგ ამერიკის მთავარი მტერი მართლმადიდებლური ეკლესიაა"...

დავით ნადაბურელი

**აპლაზის არალეგალური
სტამბა გასაჭირშია...**

სტალინი იყო უდიდესი თეორეტიკოსი, სახელმწიფო, საზოგადოებრივი მოღვაწე და ორგანიზატორი, რომელმაც შექმნა უნიკალური სოციალისტური სახელმწიფო და სოციალური წყობილება. მისი დაბადების 130 წელთან დაკავშირებით საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის გამგეობამ სხვა ვეტერანთა კავშირებთან ერთად შეიმუშავა შესაბამისი ღონისძიება. შევისწავლეთ ქალაქებსა და სოფლებში სტალინის სახელთან დაკავშირებული ადგილები, მათი მდგომარეობა.

ამასთან დაკავშირებით, აფხაზეთის ვეტერანთა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა დაგვეთვალეთებინა და შეგვეწავლა ავლაბრის არალეგალური სტამბა-მუხეუმი, სადაც ვიყავით 5 დეკემბერს. ეს სტამბა 1903 წელს დაარსდა, ავლაბარში მდებარე ორთახიან სახლში, რომელიც სხვა სახლებისაგან არ განსხვავდებოდა. სტამბა განსაკუთრებული დაცვით მუშაობდა 1905 წლის რევოლუციის დღეებში - უშეებდა პროკლამაციებს რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე. აქვე ისტამბეობდა ლენინის ნაშრომები, გამოიცა პარტიის II ყრილობაზე მიღებული „რსდმპ პროგრამა“ და III ყრილობაზე მიღებული „რსდმპ წესდება“, სტალინის ბროშურები „აკაკიურ პარტიულ უთანხმოებაზე“ და „ორი შეჯახება“. ასევე მრავალი პროკლამაცია სტალინის მიერ დაწერილი.


სტამბას განაგებდნენ მიხეილ ცხაკაია და დენის საწყობის ბუღალტერი მიხეილ ბოჭორიძე.

1906 წელს უნდარმერიამ აღმოაჩინა არალეგალური სტამბა, რომელიც ააფეთქეს, სახლს კი ცეცხლი წაუკიდეს. 1937 წელს სტამბა აღდგენილი იქნა პირვანდელი სახით და მიენჭა მუხეუმის სტატუსი. დღეს კი სტამბა სავალდებულო მდგომარეობაშია, რადგან სარდაფში დგება გრუნტის წყალი, რაც განადგურებას უქადის ყოველივეს. მიუხედავად იმის, რომ დღეს თბილისში არ არსებობს სტალინის სახელობის ქუჩა.

არადა, სტალინიცა და ავლაბრის არალეგალური სტამბაც ჩვენი ქვეყნის ისტორიის ნაწილია და მისი არსებობა არ უნდა იყოს დამოკიდებული ორიენტაციადაკარგული ხელისუფლების ხუშტურებზე.

**მირიან ჯალაღონია,
ომის, შრომისა და შეიარაღებული
ძალების აფხაზეთის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე**

სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურებრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიაგლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შეიღების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.

ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

კორნელი ბოროზდინი

ჩერნიშევი პეტერბურგში რომ დაბრუნდა, ხელმწიფე-იმპერატორს საქმის ვითარება სულ სხვანაირად მოახსენა და ყოველი ბრალი ბარონ განს მოახსენა თავზე. ეს უკანასკნელი მაშინათვე დათხოვნილ იქმნა სახელმწიფო საბჭოს წევრობისაგან, წავიდა თავის მამულში, ოსტზეის მხარეში, და დიდხანს არ გაუვლია, იქ მოკვდა კიდევცა. ამ შესანიშნავს სახელმწიფო კაცს მუხანათობა დასწამეს: საქართველოში ერთგულად არ იქცეოდაო, განსზრახვა ჰქონდა თავისი მოქმედებით მთელი საქართველოს თავადაზნაურობა აუჯანყებინაო, ის თავადაზნაურობა, რომელიც განსაკუთრებული გულმოდგინებით უღდა მხარში რუსის მეომრებსაო. და მათი აჯანყება სწორედ მაშინ უნდა მომხდარიყო, როცა კავკასია ჯერ კიდევ სრულად არა გვექონდა დაპყრობილი.

როცა თავადი ვორონცოვი მოვიდა საქართველოში, ჩერნიშევის ცირკულიარი ყოველადის სიმტკიცით სრულდებოდა. ვორონცოვმა არამც თუ არაფერი მოუკლო ამ ცირკულიარის ძალას, პირიქით, 1848 წელს გლეხებს უფლება წაართვა სასამართლოს წესით თავისუფლების ძიებისა. ვორონცოვი, როგორც ყველამ უწყის, განსაკუთრებით ცდილობდა ქართველ თავადაზნაურობის დაწინაურებასა და ამაღლებას. ამგვარად, საქართველოს გლეხობას დაეკარგა თავისი ისტორიული ნიადაგი ადრევე მონიჭებულ უფლებებისა. მათი უფლებანი არც რუსეთის გლეხობის უფლებებს შეეფარდა. რომელიც კანონთა კრებულის IX ტომშია აღწერილი, და დარჩა, სრულიად უპატივით. მისი სეპეტი ადმინისტრაციის ხელში იყო და ამ უკანასკნელს კიდევ სასტიკად ნაბრძანები ჰქონდა ყმები ბატონთათვის ყველაფერში დაემორჩილებინა. ამ საგნის შესახებ რაც რამ ტფილისის გუბერნიაში ხდებოდა ქუთაისის გუბერნიაშიც აცნობებდნენ ხოლმე. და 1842 წელს თავად ჩერნიშევის მიერ გამოცემულ ცირკულიარის შემდეგ, მაზრის უფროსი საბოლოოდ შეიქმნა ბატონობის და ყმებს შუა ატეხილ დავიდარაბის ბოლოსმომდებ კაცად. მაზრის უფროსებს კონტროლად გუბერნატორი და მთავარმართებელი ჰყავდათ, და ეს იყო მიზეზი, რომ, ცოტა არ იყოს, ღმობიერად იქცეოდნენ; დანიშნული იყო ზომა ხორციელის სასჯელისა და დატყვევებისა და იშვიათად, განსაკუთრებულ შემთხვევაში, მიმართავდნენ ხოლმე სამხედრო ეკსპედიციას.

მაგრამ სულ სხვა ამბავი ხდებოდა იქვე, გვერდით, ავტონომიურს სამეგრელოში, სადაც ყველაფერს ბინდი ჰქონდა გადაფარებული და სადაც მთავრის უკონტროლო და უსაზღვრო უფლება დიდის ხნადანვე უღმობილოდ ებრძოდა გლეხს.

1811 და 1812 წლებში ამ მხარეში შავი ჭირი (ჟამი) გაჩნდა და მუსრი გაავლო აქაურებს. მცხოვრებნი, ჟამის შიშით თავტანდაკარგულნი და შიმშილისაგან სუღმობიერებულნი, სახლგარეშო თავს ანებებდნენ და ცდილობდნენ კავკასიის სხვა-და-სხვა მხარეში, და განსაკუთრებით აღ-

მოსავლეთ საქართველოში, გადახვეწილიყვნენ. როცა ჟამობა გათავდა, უკან ცოტანი-და დაბრუნდნენ, — უმრავლესობა გლეხებისა ახალს ადგილებზე დარჩნენ, განსაკუთრებით კახეთში, რომლის ბუნება სრულიად ჩამოკვდა სამეგრელოს ბუნებას. აქაურმა მემამულეებმა მეგრელები ხიზნებად მიიღეს, ხოლო საკმაო რიცხვი გადმოსხვეწილთა საეკლესიო და სასაზღვრო გლეხების საზოგადოებებში ჩაეწერა.

ერთის სიტყვით, შიმშილისა და ჟამის გამო გამოქცეულნი მეგრელები აღმოსავლეთ საქართველოში დაემკვიდრნენ და სამეგრელოში დაბრუნებას არც კი ფიქრობდნენ. მაგრამ სამეგრელოს მთავარმა ხელზე რუსეთის კანონი დაიხივა ბატონ-ყმობისა, რომლის ძალით ბატონს შეეძლო თუნდ ზღვის ფსკერიდანაც ამოეყვანა თავისი ყმა, მიმართა კავკასიის ცენტრალურს მთავრობას და მიითხოვა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში გაქცეული მისი და მისის თავადაზნაურების ყმები უკანვე დაებრუნებინათ. ეს ამბავი ერთ-მოდროს დროს დაიწყო და დიდხანს გაგრძელდა; ქართლ-კახელნი მემამულენი, რამდენადაც კი შეიძლებოდა, მალაგდნენ მეგრელებსა, მაგრამ მთავარს საგანგებო აგენტი ჰყავდა ტფილისში და იმის შემწევობით ყველგან ეძებდა და ძალით იბრუნებდა დედასა. სამეგრელოს მთავარი დაქინებით თხოულობდა ჟამობის დროს გაქცეული ყმების დაბრუნებას, მაგრამ მისი უინიარობის მიზეზი მარტო ესენი არ იყვნენ: იმავე დროს გლეხებმა ჩემჩუბად იწყეს სამეგრელოდან გადახიზნვა. და აი სწორედ ასეთის გლეხების სურვილისათვის უნდა მოეჭრა კბილები მთავრის სასტიკ ზომებსა.

სამეგრელოს მთავარი დავითი ენერგიულად ცდილობდა თავის ხელქვეითებს, თავადებსა და აზნაურებს, გამოჰქომაგებოდა, მათგან გაქცეულ ყმებს ქართლ-კახეთიდან აბრუნებდა, მაგრამ იმავე დროს ამ დაბრუნებულებს თავისი მამულების კარი გაუღო, და ყველაზე მთავრის მამულზე დასახლებასა ცდილობდა. რაკი ერთხელ სამთავრო გლეხების რიცხვში ჩაეწერებოდნენ, ღტოლვილინი თავის ბატონებს აღარ უბრუნდებოდნენ. მემამულეებსაც სხვა გზა აღარ ჰქონდათ, ურნებს ამწვედევდნენ, ხუნდებს უყრიდნენ ხელ-ფეხში და აფხაზეთში ჰყიდდნენ, რა არის, ამით სხვები მაინც დავაშინოთ და გაქცევა არ გააბედონო.

აი, რა მდგომარეობაში დახვდა რუსის მთავრობას სამეგრელოს გლეხობა! ამათგან მხოლოდ საეკლესიო გლეხებს შეეძლოთ თავისი თავი, შედარებით, ბედნიერად ჩაეთვალნათ. ესენი ხარკს მხოლოდ ფულით იხდიდნენ, კომლზე სამ მანეთს აძლევდნენ ეკლესიას.

ყველაზე მეტი მცხოვრები სენაკის ოლქში ითვლებოდა. სცხოვრობდა აქ 50,000 მეტი სული ყველა წოდებისა. სივრცე ჰქონდა: სივრცეზე ფოთსა და სოფ. კურსუს შუა 150 ვერსი და სივრცეზე სოფ. კინჩახსა და თაკლათს შუა 70 ვერსი. გზე-

ბი იყო: ერთი რიონით ფოთიდან ორპირამდე; მეორე-საურმე მარანიდან ცივისწყლამდე. მერე, ყველა მხრივ სასოფლო ბილიკები იყო გაყვანილი, სადაც მხოლოდ ცხენით შეიძლებოდა სიარული. ამ ბილიკების გაცნობა და შესწავლა ადვილი საქმე არ იყო, მაგრამ მე, როგორც ოლქის უფროსს, რომელიც ჩემს ოლქში ყველგან უნდა ყოფილიყავ, არ შემიძლო ყველა არ დამეველო და არ გამეცნო.

8 პეტერბურგში დედოფალი იმიტომ წავიდა, რომ ხელმწიფე იმპერატორის დაახლოებული მეთვალყურეობით აღუზარდნა მცირეწლოვანი მთავარი. ამბობდნენ, რომ დედოფალი მანამდე დარჩება პეტერბურგში, სანამ შეიღი სრულწლოვანი გახდება და, როგორც პროკლამაციაში იყო გამოცხადებული, რუსის ხელში სამეგრელოს მართვა-გამგეობა მანამდე იქნება, მაგრამ ყველანი გრძობდნენ, რომ, რაც დედოფალი წავიდა, სამეგრელოს ბედ-იბღალი ძირეულად გამოიცვალაო, რუსის მთავრობა, თუმცა დროებით იყო, მაინც ისე მოქმედებდა, რომ სრულიად არა ჰგავდა მთავრის მოქმედებას, და ხალხი დარწმუნებული იყო, ძველის დროისა და დადიანობის წირვა გამოსულიყო. ჩვენ მაინც იმას ვეუბნებოდით ხალხს, რომ, პროკლამაციის ძალით, ისევე მთავრის ხელში იქნება სამეგრელო. ამ შემთხვევაში ერთის მხრით ჩვენ იმათ ვგავდით, ვისაც ვფიქრობთ შუაშიონ მდიდარ ბიძების მემკვიდრეობის მომლოდინე მისწულეები ამ ბიძების ავადმყოფობის ამბით. მართალია, ელოდნენ დედოფლისა და სრულწლოვან მთავრის ნიოს დაბრუნებას, მაგრამ არავისა სწამდა, რომ უფლებანი მათ დაბრუნებულად. შეიძლება წლის განმავლობაში დედოფალსა და მის ვერედ წოდებულს ერთგულ თავადებს შორის მიწერა-მოწერა იყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, ადგილობრივი მკვიდრნი რუსის მთავრობას უახლოვდებოდნენ. რუსები სასურველ სტუმრად მიანდნათ და არაფრის გულისათვის არ აპირებდნენ ამ სტუმრის გაშვებას.

ყველაზე სურდა, რუსებს აქ ფეხი მოეკიდებინათო.

თავადებმა შეიგნეს, თუ რამდენად სასარგებლო იყო თავიანთი ბავშვებისათვის ესწავლებინათ და სახელმწიფო სამსახურში შეეყვანათ. ადრე მთავარი განგებ არავის უშეგებდა სამეგრელოდან, რა არის, რამე არ ისწავლინო, ახლა კი რუსის მთავრობა, არამც თუ ხელს გვიშლის, პირიქით, გვეხმარება კიდევცა ჩვენმა შეიღებმა ისწავლონ რამეო.

აქაური აზნაურები ხედავდნენ, რომ იმერეთსა და გურიაში აზნაურები ქონებრივად თავადებისაგან განაცალკავეს და რუსეთის აზნაურების უფლებანი მიანიჭეს; მოელოდნენ, რუსის მთავრობა ჩვენც ამ წყალობას გვიჩაშლოსო.

გლეხები თხოულობდნენ თავის ბატონებს ადამინურად მოპყრობოდნენ. რუსის ადმინისტრაცია ქომაგად გამოუჩნდათ ამ შემთხვევაში და წაიდო აუსრულდათ: ჯერჯერობით მეტი არაფერი უნდოდათ; იმდენად იყვნენ შეწვირობულნი და დანაგრულნი, რომ ვერ წარმოედგინათ, თუ რა ბედნიერება მოელოდათ მომავალში.

ყველა ისინი ერთსა სთხოვდნენ რუსის მმართველობას — **სამართლიანობას**. მათმა დავადრინდმა ცხოვრებამ ათასგვარი კითხვა წამოაყენა, მაგრამ კითხვად რჩებოდა, იმისი გამოძრევენი არავინ იყო. აი აქ უნდა მიშეგებოდა რუსის მმართველობა. სამხრეთის აპოლიტიკულ ხალხთან გვექონდა საქმე, და ამ ხალხს ეგონა, რომ რუსის მმართველობა მძლეობა-მძლე იყო, და ამიტომ იმაზე უდამეტსა ვეთხოვდნენ, რაც შეგვეძლო. საეკლო არ არის, ასეთი ამბებიში ხშირად მიხედებოდა რუსეთის სხვა განაპირა ადგილებშიც, სადაც კი რუსის მთავრობას წილად ხვდა აღმოსავლეთის დესპოტებისათვის უფლებანი წაერთმია; ადგილობრივი მკვიდრნი იქაც მოუთმენლად ეპოტინებოდნენ რუსის ადმინისტრაციას, ათას რასმე სთხოვდნენ თავისის მწარე ცხოვრების დასამეგობლად, ის კი არ ესმოდათ, თუ რა უფლება ჰქონდა ამ ადმინისტრაციას და რა შეეძლო და რა არა მათთვის გაეკეთებინათ.

მაგრამ რითი უნდა ეხელმძღვანელნა რუსის ადმინისტრაციას ამ **სამართლობის** შემოღების დროს?

ჩვეულებითი სამართალი, ჩაწერილი მთვე ვახტანგის-მთერ გასულ საუკუნეში და არეული მოსუს და აღბუღას კანონებთან ერთად, წარმოადგენდა კრებულს,

რომელსაც თავის დროში არა ჰქონია საკანონმდებლო კოდექსის მნიშვნელობა, ამას მხოლოდ მოსამართლენი ხმარობდნენ საქმის გარჩევის დროს სხვა-და-სხვა ცნობების ამოსაკრებად. ამ კრებულში სისხლის სამართლისა და სამოქალაქო კანონებთან ერთად თქვენ შეხვდებით სხვა-და-სხვა საფილოსოფოსო მსჯელობათა, აფორიზმებს და ნიხრს, საქართველოს არისტოკრატიულ გვარების სისხლის აღების გამო დაწესებულს. ამ **„კანონების“** თავების გავება ძველი იყო, ამიტომ დიდის სიფრთხილით უნდა მიგვემართნა მათთვის. სხვა საიდან რა უნდა გვეშველნა საქმისათვის? მთელ თხოუმეტ ტომოვან **„კანონთა კრებას“**, თავისის დამატებებით, საწყად მეგრელებთან ვერ გამოვიყენებდით. ამიტომ, იძულებული ვიყავით, ფუტკარივით, ცოტ-ცოტა ყველგან მოგვეკრიფა სახელმძღვანელოდ და, განსაკუთრებით, გზა არ უნდა აგვევლო **სად გონებისათვის**, მით უფრო, რომ მეტად მიხვედრილ და ნიჭიერ ხალხთანა ვეჭონდა საქმე. ჩვენ პროგრამა სიტყვით სრულიად ადვილი ასასრულებელი გვეგონა, მაგრამ ყველა მხრიდან იმდენი საჩივრები შემოიტანეს როგორც სიტყვიერად, ისე წერილობითად, რომ საქმე ძალიან გაგვიჭირდა.

მთავრის დროს სამართლობა უსასყიდლო არ იყო, მოსამართლე ყოველ საქმეზე თვით საქმის გარჩევაზე ახდევინებდა საკმაო სასყიდელს მომჩივნებს და ამითი სცხოვრობდა. სამართლის მოპოვება ძვირი ღირდა და ყველას არ შეეძლო მოსამართლისათვის მიემართნა. ხოლო როცა ჩვენ ეს გადასახადი მოსხპეთ და სასამართლო უსასყიდლო გავხადეთ, ნაკადულმა ჯებირი გახეთქა და თან მოგვიტანა აუარებელი წინაღობი საქმეებში, გაუთავებულნი. მეტი გზა არ იყო, ყველა უნდა გაგვეჩინა და ძალაუნებურად გაეცანით ძველი წესები სამართლის გადაწყვეტისა. რაც უნდა ნასწავლი იურისტი ყოფილიყო, ხელეებს გაასახავებდა ამ წესების გაცნობაზე.

სანიშნულად აღვნიშნავთ თუნდ ერთს მათგანს.

მოსამართლესთან **ანმა** უჩივლა **ბანს**: ოც-დაათი ქვევა მიწა წამართვა და უსაბუთოდ სარგებლობსო. მოსამართლემ მომჩივანი და მოპასუხე ორივე დაიბარა, მოუსმინა როგორც ერთს, ისე მეორეს, გასინჯა მათ-მიერ წარმოდგენილი რადაც ძველის ქაღალდის ნაფლეთები, რომლებიც საბუთის ქაღალდად იყო წარმოდგენილი, და დაადგინა: **ანმა** უნდა მოიყვანოს თორმეტი კაცი და დააფილოს, რომ სხენებულნი ოცდაათი ქვევა მიწა მართლა იმისიაო. მომჩივანმა **ანმა** ბევრის დავიდარაბისა და მოწვეების დასაპატივებლად გაწეულ ხარჯის შემდეგ, მოიყვანათორმეტი კაცი, ამათგან **მაგარ ხატზე დაიფიცეს**. ამნარი **„მაგარი“** (სასწავლთ-მოქმედი) ხატი სამეგრელოში რამდენიმე იყო, და განსაკუთრებით ხალხსა სწამდა ყელის-კარის ღვთისმშობლის ხატი და წმ. გიორგის ხატი, **ქიანად** წოდებული. ხალხს ბრძადა სწამდა, რომ ამ ხატებზე ტყვილად დაფიცება არ შეიძლება, ამიტომ რომ ადრე თუ გვიან სიმართლეს გამოაჩენნო. **ანის** მიერ წარმოდგენილ თორმეტის კაცის დაფიცების შემდეგ მოსამართლემ **ბანს** ჩამოართვა მიწა და **ანს** ჩააბარა. კომედიის პირველი მოქმედება გათავდა. განხლო 15 წელიწადმა. ამ ხნის განმავლობაში **ანმა** დაბრუნებულს მიქიდან მდევლს **ვინს** სუთი ქვევა მიჰქიდა და აზნაურს **განს** — ათი; მაგრამ ამ თუთხმეტის წლის მფლობელობის შემდეგ შეამჩნია, რომ რადაც კარგი არ იყო მის თავსა. ჯერ საქონელი გაუწყდა, ვახუბი აქა-იქ გაუხმა, მერე ორი შვილი მოუკვდა. მიდის მკითხავთან. მკითხავმა ყველაფერი გამოჰკითხა და პირდაპირ უთხრა: **ყულის** და **ქიანის** ხატების ბრალიო, ტყვილად დაგიფიცხია და **ბანსათვის** მიწა წავართმევიაო, თუ ახლავე **ბანთან** არ წახვედი და ფიცი არ აახსენე, უარესად წავა შენი საქმეო. ეს ამბავი თანამოფიცებამც გაიგეს. ახლა ისინიც მიხედნენ, რომ ამ ხანში რაც რამ უბედურება დაგვატყდა, სულ ტყვილის ფიცის ბრალი იყოო. ჩვენს გავიწყდა საქონელი, ვახუბი გადავხვიხმა, შვილები დაგვეხოცა და სხვა და სხვაო. მივიდნენ **ანთან** და უთხრეს: წადი **ბანთან** და სთხოვე ჩვენც ავეხსნას ფიციო. **ანი** თავს იმაგრებს, **ბანთან** არ მიდის, მაგრამ ამ დროს გასათხოვარი ძელი გაუხდა ავად... დაგვიანება არ შეიძლება და წავიდა **ბანთან**.

იყო თუ არა ერთი და იგივე პიროვნება გაიოზ ნიჟარაძე, ოჰანეს ტოტომიანცი და იოსებ ჯულაშვილი

გადასახლებიდან პირველ წარუმატებელ გაქცევის მცდელობას სტალინი მორალურად არ გაუტყუებია. იგი გულდასმით ემზადებოდა მეორე გაქცევისათვის. 1903 წელს პირველი გაქცევის შემდეგ სტალინი გადასახლების ადგილას – “Новая уда”-ში გლეხ მიტროფანე კუნგაროვის სახლში ცხოვრობდა. პოლიციას ეჭვი რომ არ აეღო, სტალინი სწორედ კუნგაროვის დახმარებით გეგმავდა გაქცევას. მიტროფანე კუნგაროვი არავითარ შემთხვევაში არ გაუმართავდა ხელს გადასახლებულს გაქცევაში, იმიტომ, რომ ამისათვის მას სასჯელი ელოდა. სტალინს კუნგაროვი უნდა მოეჭყუებინა. გლეხიც საკმაოდ გულუბრყვილო გამოდგა და სტალინის ირწმუნა. სტალინმა ისეთი ამბავი შეთხზა, რომ ფრთხილ და წინდახედულ ციხიბრულ გლეხსაც კი შეიყვანდა შეცდომაში. კერძოდ, მან მიტროფანე კუნგაროვს უთხრა, რომ “Новая уда”-დან ზარკოვოში სურდა გამგზავრება, რათა ადგილობრივი პოლიციის უფროსზე საჩივარი შეეტანა.

კუნგაროვი არ დაეკვივებოდა, რადგან ამის უფლება გადასახლებულს ჰქონდა. მიტროფანე კუნგაროვი რომ უფრო მეტად დაეინტერესებინა, სტალინი ფულის გარდა არაფერს დაჰპირდა. არყის გარეშე, 40-გრადუსიან ყინვაში, რამდენიმე ასეული კოლომეტრის გავლა შეუძლებელი იყო – ადამიანი გაიყინებოდა. კუნგაროვმა მარხილი გაამზადა, სტალინმა მარხილში ჩააღებინა: საკვები და საკმაო რაოდენობის არაყი. მეეტლეცა და მისი მგზავრიც თბილად იყვნენ ჩაცმულნი. არყისაგან შეზარხონებულმა მიტროფანე კუნგაროვმა მარხილი დიდი სისწრაფით გააქანა. გზადაგზა ჩერდებოდნენ და სტალინი არყის მორიგი ულუფით უმასპინძლებოდა გულუბრყვილო კუნგაროვს. ციხიბრული გლეხი ისე გამოიბრუნა არყით, რომ შიშადაშოგ გახსნილი ქურჭით მიაქანებდა მარხილს.

როცა სტალინიმა მარხილში შეცვალა, მიტროფანე კუნგაროვი მიხვდა, რომ გადასახლებული გაქცევას აპირებდა და შეშინდა. სტალინიმა ვერაფერი გააწყო – გონს მოსული კუნგაროვი გზის გაგრძელებას არ აპირებდა და უკან გაბრუნება უნდოდა. მაშინ, სტალინიმა თბილი ქურჭი გაიხსნა, ბასრი ხანჯალი ამოიღო და ციხიბრულ გლეხს წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში სიკვდილით დაემუქრა. შეშინებულმა კუნგაროვმა გზა განაგრძო. კუნგაროვმა სტალინი ტირეტის სადგურამდე მიიყვანა და უკან გაბრუნდა. ტირეტიდან სტალინიმა ირკუტსკში ჩააღწია, საიდანაც გზა მატარებლით გააგრძელა. გაგრძელებულია ვერსია იმის თაობაზე, რომ ირკუტსკიდან მატარებლით გაწევის გაგრძელება ჯულაშვილმა მხოლოდ იმიტომ შესძლო, რომ მას პოლიციის აგენტის ყალბი მოწმობა ჰქონდა. ეს ვერსია უსაფუძვლოა, რადგან ასეთი საბუთის შოვნა, დიდი ფულის გარეშე, ციხიბრში, შეუძლებელი იყო. სტალინის კი ფული არ გააჩნდა.

სავარაუდოა, რომ სტალინის მართლაც ჰქონოდა ყალბი საბუთი (ასეთი საბუთის შოვნა მაშინ გადასახლებულებს არ უჭირდათ), მაგრამ არა პოლიციის აგენტის მოწმობა. დიდი წინააღმდეგობების გადალახვის შემდეგ, ირკუტსკიდან გაქცეული გადასახლებული სტალინი 10 დღეში თბილისში ჩავიდა.

გადასახლებიდან გაქცეული სტალინის დაპატიმრებას ჟანდარმერია 4 წელზე მეტ ხანს ცდილობდა, მაგრამ წარუმატებლად. სტალინი ყოველთვის ახერხებდა მიმალვას. 1908 წლის 15 მარტს ჟანდარმერია ბაქოში დიდი დაპატიმრებები ჩატარა. სტალინი ამჯერადაც გადარჩა, თუმცა, ჟანდარმერია მის ძებნას განაგრძობდა. 10 დღის შემდეგ, 25 მარტს, ბაქოში,

არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ სტალინის სმენას გამოპაროდეს ან არასაკმარისი სიზუსტით გაეგოს მისი პარტნიორების რაიმე მნიშვნელოვანი გამონათქვამები. კონფერენციაზე პირდაპირ ნთქავდა მათი სიტყვების აზრს... ლივადიის სასახლეში სხდომის დროს, მე აშკარად მივხვდი, თუ რა შეუღარებელი ღირსებები გააჩნდა ამ ადამიანს...
ა.ა. გრომიკო, სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი

მორიგი დაპატიმრებების დროს ჯულაშვილიც ჩავარდა. უფრო სწორად, მას გაქცევა არ უცდია, რადგან ამ დროისთვის მოაწრო ყალბი პასპორტის შექმნა, რომლის მიხედვითაც ის იყო გაიოზ ბესარიონის ძე ნიჟარაძე. ჟანდარმერიაში გაიოზ ნიჟარაძის ნამდვილი ვინაობა დაადგინეს. ჟანდარმერიის არქივში არსებული სტალინის ფოტოებით დადასტურდა, რომ ყალბი პასპორტის მფლობელი იყო არა გაიოზ ბესარიონის ძე ნიჟარაძე, არამედ იოსებ ბესარიონის ძე ჯულაშვილი.

იოსებ სტალინი ბაქოში ბაილოვის ციხეში ჩასვეს. იმჟამად ბაილოვის ციხე პატიმრებით გადატვირთული იყო – 400 კაცისთვის განკუთვნილ საკნებში 1500 პატიმარი იხდიდა სასჯელს. სტალინის ფილტვის დაზარალება ჰქონდა და სუფთა ჰაერი ესაჭიროებოდა. მისი თანაპარტიული ბუღუ მდივანი ჯულაშვილს მხრებზე შეისვამდა ხოლმე, რათა სარკმლიდან სუფთა ჰაერი შეესუნთქა. ციხის აუტანელი პირობების გაპროტესტების მიზნით სტალინიმა გაფიცვა მოაწყო. ციხის უფროსმა ჯარისკაცები გაგზავნა პოლიტპარტიის დასახველად. საეკზეჯუციო პატიმრები ჯარისკაცთა ორ მწკრივს შორის გაატარეს და დაუყოვნებლად ურტყავდნენ თოფის კონდახებს. სტალინიმა ამ მწკრივებს შორის თავაწეულმა გაიარა, ილიაში წინამორბილს თავი ამყავდა და გამოძვევად ეჭრა. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მძიმე დარტყმა მიიღო, წიგნი ხელიდან მაინც არ გაუგდია. საკანში დაბრუნებულმა ჯულაშვილმა მალე საკნის კარი მთარყია და გასაქცევად მზადებას შეუდგა.

დამით, იგი, თანაპარტიელების მიერ შეგზავნილი ხერხით სარკმლის ვისოსების გადაჭრას ცდილობს. სარკმლიდან რომ გადაძვრებოდა, სტალინს გარეთ შეიარაღებული პარტიული ამხანაგების რაზმი ეტლით დახვდებოდა და საიმედო თავშესაფარში წაიყვანდნენ. მაგრამ გაქცევა არ შედგა, რადგან სტალინი ვიდაცამ გასცა. გაქცევაზე სულ რამდენიმე წუთით ადრე, ციხის ჩვეულებრივი დაცვა შეიცვალა და განრიგში მათი ადგილი კახაკებმა დაიკავეს. სავარაუდოა, რომ სტალინის გაქცევის გეგმა იმ ზედამხედველმა გასცა, რომელმაც სტალინის თანაპარტიელებს ხერხი შეუგზავნა საკანში.

იოსებ სტალინი გაასამართლეს და ციხიბრში გადასახლება მიუსაჯეს. ბაქოდან იგი ჯერ მოსკოვში, ბუტირკის ციხეში უნდა გადაეყვანათ, რომლის შემდეგ მას ვოლოგდის სატუსალოში გადააგზავნიდნენ, საიდანაც პატიმრების ციხიბრში ეტაპირება ხდებოდა.

ბაქოდან მოსკოვის გავლით ვოლოგდაში ჩასვლას, პატიმართა იმ ჯგუფმა, რომელთან ერთადაც სტალინი მიემგზავრებოდა, სამი თვე მოანდომა. მაგრამ იოსებ სტალინი ის ადამიანი არ იყო, რომ ბედს იოლად შეერიგებოდა და მან ვოლოგდის ციხეში მორიგი ამბოხი მოაშადა. ამიტომ, ციხის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა, რომ სტალინი სასწრაფოდ გადაეყვანათ ციხიბრში, გადასახლების ბოლო პუნქტზე. ეს კი სტალინს არ სურ-

და, რადგან ძალიან კარგად იცოდა თუ როგორ ანგარიშგასაწევ სიძველეთან იყო დაკავშირებული მისი ჯანმრთელობის მქონე ადამიანისთვის ციხიბრში გადასახლება. თანაც, მასზე მკაცრი მეთვალყურეობა იყო დაწესებული და მას მორიგი გაქცევა გაუჭირდებოდა. “გაუმართლა” კიდევ – არქივებში დაცული ოფიციალური საბუთების მიხედვით დასტურდება, რომ ვოლოგდის ციხეში არსებული მძიმე პირობების გამო სტალინი ტიფით დაავადებულა, რის გამოც ადმინისტრაციამ იძულებული შეიქმნა ჯულაშვილი ციხიბრში ეტაპირებული ჯგუფისათვის ჩამოეცილებინა და სამკურნალოდ ქალაქ ვიატკის ჰოსპიტალში მოეთავსებინა. უფრო სავარაუდო კი ის ვერსია გახლავთ, რომ სტალინს ტიფი საერთოდ არ შესხედრია და მან რაღაც საშუალებებით აიძულა ციხის ექიმი, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე ამგვარი ცნობა გაეცა. სტალინი რომ მართლაც ტიფით დაავადებულყო, იგი ასე მალე გამოჯანმრთელებას ვერ მოახერხებდა, რადგან ტიფი მაშინ ერთ-ერთ უძიმეს დაავადებად ითვლებოდა და უამრავ ხალხს იწირავდა.

ვიატკის ჰოსპიტალიდან სტალინი კვლავ ვოლოგდის ციხეში გადაიყვანეს და სათანადო დოკუმენტების გაფორმების შემდეგ პატიმრების მორიგ ჯგუფთან ერთად გაამგზავრეს ციხიბრში. მისი დის-ლოკაციის ადგილად განსაზღვრული იყო სოფელი სოლენიგოლსკი, სადაც იოსებ სტალინი 1909 წლის თებერვალში მარხილით ჩაიყვანეს. ამ დროისათვის, სოლენიგოლსკში 450 გადასახლებული ცხოვრობდა, რომელთა უმეტესობა პოლიტპატიმარი რევოლუციონერი იყო. სოლენიგოლსკი რუსმა კოლონისტებმა 700 წლის წინ დააარსეს, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ბევრეულით ვაჭრობით ირჩენდა თავს და თევზჭერით იყო დაკავებული. მდინარე ვიჩეგაზე მდებარე სოლენიგოლსკის ღირშესანიშნაობა იყო მეთექვსმეტე საუკუნეში აგებული რუსული მართლმადიდებლური ეკლესია, ფოსტის შენობა და ადგილობრივი ვაჭრობის სახლი. სტალინი თავდაპირველად 10 გადასახლებულთან ერთად ცხოვრობდა ხის ბარაკში და თანაპარტიელები მას “ოსიპისა” და “კობას” ვსევდონიმი იცნობდნენ.

სტალინს უკვე გადასახლებებიდან გაქცევის საკმაოდ დიდი გამოცდილება გააჩნდა, ამიტომ, მორიგი გაქცევის ორგანიზება მას სრულიად არ გასჭირვებია. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მეფის რუსეთის ჟანდარმერია გადასახლებულზე ვერ ახერხებდა მკაცრი კონტროლის დაწესებას, ამიტომ, ციხიბრიდან სტალინზე გაცილებით ნაკლები შესაძლებლობების მქონე პოლიტპატიმრებიც ხშირად გამობოდნენ. მაგალითად, 1906-1909 წლებში ციხიბრის ქალაქებში გადასახლებული 32 ათასი მსჯავრდებულიდან, სხვადასხვა დროს, 14 ათასმა გაქცევა მოახერხა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ საკმაო რაოდენობის ხალხი გზას ვერ იკვლევდა ტაიგაში და იღუპებოდა. იყო კანიალი-იზმის შემთხვევებიც, როცა გაქცეული მოშეებული პატიმრები თავიანთი ამხანაგის ხორცი იკვებებოდნენ.

მორიგი გაქცევა სტალინს სრულიად არ გასჭირვებია. მარხილი იშოვა და საღამოს გაუდგა გზას, რადგან იცოდა, რომ დილაზე არავინ მოიკითხავდა, მაშინ, როცა იგი საკმაოდ შორს იქნებოდა. სტალინის კოტლასის რკინიგზის სადგურში მივიდა, სადაც ყალბი საბუთებით ავიდა მატარებელში და პეტერბურგში გაემგზავრა. გზაში არავითარი პრობლემა არ წამოჭრილა და სტალინიმა ყოველგვარი დავიდარბის გარეშე ჩააღწია რუსეთის იმპერიის დედაქალაქში, სადაც უფრო საიმედო დოკუმენტები იშოვა და თავის რევოლუციურ კერას – ბაქოს დაუბრუნდა.

ბაქოში ჩასვლისას სტალინს კვლავ ყალბი პასპორტი ჰქონდა, რომელიც სომეხი ვაჭრის ოჰანეს ტოტომიანცის სახელზე იყო გაცემული (შეიძლება ამიტომაც ამტკიცებენ სომეხები, რომ სტალინი ეროვნებით სომეხი იყო).

რადაც დროიდან იოსებ ჯულაშვილს “ოხრანკა” აედევნა. ეს იქიდან ჩანს, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში “ოხრანკის” მიერ შეგზავნილი აგენტები “ფიკუსი” და “მიხაილი”, რევოლუციურად აწვდიდნენ “ოხრანკას” ცნობებს სტალინის ბაქოში რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ. თავიანთ მოხსენებებში, “ფიკუსი” და “მიხაილი”, რა თქმა უნდა, იოსებ სტალინის ნამდვილი სახელითა და გვარით არ მოიხსენიებდნენ. “ოხრანკის” დოკუმენტებში, ძებნილი იოსებ ბესარიონის ძე ჯულაშვილი კონსპირაციული მოსაზრებებით “მერძევის” (“მალონის”) ვსევდონიმი მოიხსენიებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სტალინს იმპერიის თითქმის ყველა სამძებრო სამსახური უთვალთვალებდა, სპეცსამსახურებს მაინც დიდი დრო დასჭირდათ იმის დასადგენად, რომ ის იოსებ ჯულაშვილი და ოჰანეს ტოტომიანცი ერთი და იგივე პიროვნება იყო.

ვასტანგ გურული



თანამედროვეთა მოგონებები

ტუ-104

ახლა უკვე ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ შეიქმნა საბჭოთა ატომური ბომბი, მაგრამ მხოლოდ ბომბის ქონა არ წყვეტდა ყველა პრობლემას. საჭირო იყო იმ საშუალებების გამოძებნა, რომელიც საბრძოლო მასალას მიიტანდა მტრის პოზიციებამდე. სწორედ ეს პრობლემა არ ასვენებდა სტალინს მეორე მსოფლიო ომის დამთავრების წინა დღეებში.

ამ პერიოდში სტალინს ეჭვი არ ეპარებოდა ახალი ომის მოახლოებაში, ამჯერად უკვე მოკავშირეებთან. თეორიის კონფერენციის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ჩერხილსაც და ამერიკასაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი სამყაროს გადანაწილების შორს მიმავალი გეგმები ჰქონდათ.

საბჭოთა ქვეითი ჯარი არაფრით ჩამოუვარდებოდა მოკავშირეთა ჯარს, რასაც ვერ ვიტყვით ავიაციასზე, განსაკუთრებით კი შორეულ ავიაციასზე.

1944 წელს, შორეულ აღმოსავლეთში, კატასტროფა განიცადა ამერიკულმა ბომბდამშენმა "B-29-M", სახელგანთქმულმა "ციხე-სიმაგრემ", რომელიც იაპონიის დაბომბვის შემდეგ ალიასკაზე ბრუნდებოდა. როგორც კი სტალინმა ამ კატასტროფის შესახებ გაიგო, მაშინვე ბრძანა თვითმფრინავის დარჩენილი ფრაგმენტები და დეტალები კონსტრუქტორ ტუპოლევისათვის მიეტანათ. იმ ხანად ტუპოლევი ციხეში იჯდა და შორეული ბომბდამშენის პროექტზე მუშაობდა. გამორიცხული არ იყო, რომ სახელოვანი კონსტრუქტორის მიერ შექმნილი ახალი თვითმფრინავი თავის სიჩქევს იტყობდა, მის სრულ წარმოებას კი წლები სჭირდებოდა, ხოლო თვითმფრინავები ატომური ბომბისათვის სტალინს პერიოდში სჭირდებოდა.

ამ კატასტროფიდან თვეც არ იყო გასული, რომ შორეულ აღმოსავლეთში, ტექნიკური მიზეზების გამო, ავარიულად დაეშვა კიდევ ერთი "B-29" ტიპის ამერიკული ბომბდამშენი. ასეთ შანსს საბჭოელები, რა თქმა უნდა, ხელიდან არ გაუშვებდნენ. თვითმფრინავს ოფიციალურად კონფისკაცია გაუკეთეს, ეკიპაჟი ამერიკაში გაისტუმრეს, ხოლო თვითმფრინავი მოსკოვის მახლობლად ენუკოვის აეროდრომზე დასვეს.

აღსანიშნავია, რომ იმ დროისათვის "B-29-M" მსოფლიოში ყველაზე სრულყოფილი ბომბდამშენი გახლდათ. მას შეეძლო ათ ტონამდე ბომბების ზიდვა, თერთმეტი კილომეტრის სიმაღლეზე ასვლა, ხოლო მისი ოთხი ძრავი ("Raitciklon") თვითმფრინავს საათში 575 კილომეტრის სიწრაფის განვითარების საშუალებას აძლევდა, რაც, პრაქტიკულად, მას მიუწვდომელს ხდიდა გერმანული და იაპონური თვითმფრინავებისათვის.

თვითმფრინავის წრიულ დაცვას უზრუნველყოფდა 20-მილიმეტრიანი ტყვიანობრივი და დისტანციური მართვადი ათი მსხვილიკალიბრის ტყვიანობრივი დანადგარი. ეკიპაჟის 11 წევრისათვის კომფორტი იყო შექმნილი – სამზარეულო და ტუალეტი. სწორედ ასეთი თვითმფრინავებიდან დაიბომბა პიროსიმა და ნავასაკი.

როგორც იტყვიან, სტალინს იდგა მოუვიდა, საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის მთლიანად გადმოეღო და გადმოეხატა "მფრინავი ციხე-სიმაგრე". "B-29"-ს კოპირება ტუპოლევს დაევა. პროექტს ლავრენტი ბერია კურირებდა, რომელიც იმ პერიოდში ხელმძღვანელობდა ატომური ბომბის შექმნის სამუშაოს. ტუპოლევმა ახალი თვითმფრინავის შესაქმნელად სამი წლის ვადა ითხოვა.

– ორი! – მოუჭრა ბერიამ, – მანქანამ მონაწილეობა უნდა მიიღოს საჰაერო არაღმუშებზე არა უგვიანეს 1947 წლისა.

მთავარი სიძნელე იმაში მდგომარეობდა, რომ თვითმფრინავის ზომები დუმიბსა და ფუნტებში იყო აღნიშნული, რომლის გადაყვანა სანტიმეტრებში მეტად ჭირდა. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირში არ იყო

შესაფერისი მასალა: რეზინი, პლასტიკატი და სხვა. საჭირო გახდა ყოველივე ამის შეცვლა სათანადო მასალებით. გარდა ამისა, კონსტრუქტორებისათვის უცნობი იყო წინააღმდეგობის სიდიდე ელექტრო-ჯაჭვში და წნევა ჰიდროსისტემაში. ამის გამო საჭირო იყო ურთულესი ექსპერიმენტის ჩატარება. თვითმფრინავი რამდენჯერმე დაშალეს და ხელახლა ააწყვეს, რათა გაერკვიათ სისტემებისა და მექანიზმების ურთიერთმოქმედების პროცესი.

ახალ თვითმფრინავზე მუშაობა განსაზღვრულ დროს დამთავრდა – 1947 წელს "ტუ-104"-ად მონათლული თვითმფრინავი პირველად აიჭრა ცაში ტუშინოს აეროდრომიდან.

ეს იყო სრულყოფილი, თანამედროვე ბომბდამშენი, რომელსაც შეეძლო ბირთვული იარაღის ზიდვა. სწორედ ამ თვითმფრინავმა მიიღო მონაწილეობა პირველი ატომური ბომბის გამოცდაში. "ტუ-104"-მა კარგი სამსახური გაუწია საბჭოელებს და ბალისტიკური რაკეტების გამოჩენამდე ის იყო ბირთვული იარაღის მიწოდების ერთადერთი საშუალება. შემდგომში, ლიცენზია თვითმფრინავის ასაგებად საბჭოთა კავშირმა ჩინეთს მიჰყიდა.

გ. აფაქიძე

სტალინის მიერ ჩატარებული ადლუმი

მთელი რიგ შემთხვევებში, ადამიანები, რომლებიც ომის შესახებ მსჯელობენ, ჩვენი შეხედულებით, დაადგენ მცდარ გზას. მათ არ ინებეს ჯეროვნად შეესწავლათ იმ საქმის არსი, რომლის გაკრიტიკებაც იხსრეს.

ჰქონდა თუ არა ჩვენს ქვეყანას პოტენციური შესაძლებლობა ეომა ძლიერ მოწინააღმდეგესთან?

დიახ, ჰქონდა!

ვის შეუძლია, გარდა მტრებისა, უარყოს, რომ ორმოციანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირი, ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნიდან გახდა ჭეშმარიტად მძლავრი სოციალური სახელმწიფო? სახალხო მეურნეობის განვითარების, ხუთწლიანი გეგმების განხორციელების შედეგად. ჩვენს ქვეყანას ყველა მატერიკურ-ტექნიკური წინამძღვარი ჰქონდა ყოველგვარი მტრის გასანადგურებლად და ეს ომაც დადასტურა. ჩვენ ავაშენეთ საკუთარი, იმ დროისათვის მძლავრი მეტალურგია და ძალზე მიუხედავად გერმანიას ფოლადისა და თუჯის წარმოების მხრივ. უაღრესად დიდი იყო საბჭოთა წყობილების კულტურული მონაპოვარი, რამაც საშუალება მოგვცა გამოგვეზარდა მეცნიერთა, კონსტრუქტორთა, ინჟინერთა, მუშათა და, რა თქმა უნდა, მეომართა კადრები – დაწყებული ჯარისკაცით და დამთავრებული მარშლით.

1941 წლის შემოდგომაზე, როდესაც ომი მძვინვარებდა და მტერი მოსკოვის მისადგომებთან გვიტევადა, სტალინმა გადაწყვიტა საშვიდნოემბრო პარადის მოწყობა. და ეს მოხდა იმ დროს, როდესაც მტერი ყოველდღე ბომბავდა მოსკოვს.

აი, რას წერს გენერალ-პოლკოვნიკი არტემიევი თავის მოგონებებში: "როდესაც სტალინს მოახსენეს, რომ ჯარი და ტანკები არ გვეყავს, მან მიიხრია:

– ყველაფერი გამოინახება, პარადს ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება კაპიტალისტური ქვეყნებისათვის. ჩვენ ავამაღლებთ ჩვენი ხალხის, პარტიზანების, მებრძოლთა სულიერ კეთილშობილებას ფრონტებზე. კაპიტალისტები მაშინვე შემობრუნდებიან

ჩვენსკენ და დაგვეხმარებიან, თორემ ისინი ფიქრობენ, რომ წითელი არმია განადგურებულია, მას მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლია, რომ ბრძოლის უნარი დაკარგული აქვს. პარადს მთელ მსოფლიოში ექნება რეზონანსი. ჰიტლერის უღელქვეშ მოქცეული ხალხები განთავისუფლების იმედით განიმსჯელებიან. მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია ამ ამოცანის შესრულება, ჩვენს ხალხს და წითელ არმიას!"

7 ნოემბრის დილას გაიმართა პარადი. ეს გახლდათ ჯარების ტრადიციული ადლუმი, სადაც სიტყვა წარმოთქვა სტალინმა:

"თქვენ შემოგყურებთ მთელი მსოფლიო, როგორც ისეთ ძალას, რომელსაც ძალუქს დაიხსნას გერმანულ დამპყრობელთა უღელქვეშ მოქცეული ადამიანები. თქვენ შემოგყურებენ როგორც თავის განმანათლებელს. თქვენ წილად გხვდათ განმანათლებლობის მისია, მაშ იყავით ამ მისიის ღირსნი. დაე, ამ ომში, თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების აღქმანდრე ნეველის, დიმიტრი დონოვის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახე, გზარავდეთ დიდი ლენინის ძლევაბოსილი დროშა. ჩვენი საქმე სამართლიანია, მტერი განადგურებული იქნება, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება".

ს.მ. შაჰავენი

სტალინის პოლიტიკა

ძალიან ელევანტურმა პროფესორმა ალექს დე ჯონდმა, მრავალი წიგნის ავტორმა, როდესაც საჩუქრად მიიღვნია თავის ახლადგამოცემულ წიგნს "სტალინი", განამცხადა: "თქვენთან ჯერ კიდევ ვერ დამკვიდრდა ობიექტური შეხედულება მასზე, სტალინზე".

– თქვენ გინდა მითხრათ, რომ ჩვენთან არ არის გამახვილებული ყურადღება მასთან დაკავშირებულ იმ მოვლენებზე, როგორც არის კანონის დარღვევა, უდანაშაულო ადამიანთა სიკვდილით დასჯა, შეცდომები, რომელთაც თავი იჩინეს ომის მსვლელობაში, ამ გაუმართლებელი ომის დაწყების პირველივე დღეებში? – შევეპასუხე დე ჯონდს.

– ამის თაობაზე მეც ვწერ მთელი სიმძაფრით ამ წიგნში, მაგრამ აუცილებლად ვთვლი შეგახსენოთ, რომ ჯერ ერთი: არც ფრანგულ რევოლუციას, არც ნაპოლეონს და არც სხვა ვინმეს არ გაუკეთებიათ ისტორიაში იმდენი, რამდენიც შესძლო სტალინმა. რუსეთი ხომ 1917 წლის შემდეგაც არ შეცვლილა. მან კი ნამდვილად ყველაფერი გარდაქმნა რუსეთში. ის იმ გზაზე დააყენა, რომელსაც 40 წელი მისდევდა და ახლაც იმ გზაზე მიდის. მეორეც: ვთვლი, რომ ყველა ჩვენგანის არსებობა განუყოფლად და დაკავშირებულ მის სახელთან. ჰიტლერს რომ დაემარცხებინა საბჭოთა კავშირი, არ იქნებოდნენ რუსები, თუმცა, ასევე არ იქნებოდნენ ფრანგები, ინგლისელები და არც ამერიკელები.

– თქვენ გინდათ თქვათ, რომ ის გენიალურია იმის გამოც, რომ ომის წლებში შესძლო მოკავშირეებზე გაეხსნა ინგლისელები, ამერიკელები და ფრანგები. ყველაზე სახიფათო შეცდომაა, როცა ჩაიფიქრებ, პოლიტიკა გამოიყენო და ააგო პირად დამოკიდებულებებზე.

– ამის იმედი ჰქონდა ჩერჩილს, რომელიც ფიქრობდა თავდაჯერებით, რომ როდესაც სტალინს გაიცნობდა, მას თავის თავგანისმცემლად გაიხდიდა, მაგრამ სტალინმა შესძლო, რომ ჩერჩილიც და რუზველტიც იმ გზას გაჰყოლოდნენ, რომელიც თავად ჰქონდა დასახული.

ო. ოგენკო, მწერალი

ასანთი

ერთხელ იოსებ სტალინმა თავისი განუყრელი ჩიბუხი თამბაქოთი გატენა და ცეცხლის განაღებას ცდილობდა, მაგრამ ასანთი, რომელიც მაგიდაზე იდო კოლოფით, უხარისხო გამოდგა. გაჰკრა ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე... ისინი ინთებოდნენ და წამსვე ქრებოდნენ. ანთებული გოგირდი აქეთ-იქით ცვივოდა. სტალინმა პოსკრები შეხვს უთხრა: "ამ ასანთის გამოშვები ფაბრიკის დირექტორმა, როცა მოსკოვში მოხვდება, ჩემთან შემოიაროს".

პოსკრები შეხვს სასწრაფოდ მიიკითხა მიიკითხა ის ფაბრიკა და დაადგინა, რომ იგი კალუგაში მდებარეობდა. იქ ერთი ალიაქოთი ატყდა: ასანთის ფაბრიკის დირექტორს, გვარად სკაზოჩკინს სტალინი თავისთან იბარებსო. საოლქო კომიტეტმა სწრაფად გამოჰყო სწრაფმავალი მანქანა და დირექტორი რამდენიმე საათში მოსკოვში იყო.

პოსკრები შეხვს სტუმარს სტალინთან შეუძღვა. სტალინის შეკითხვაზე, როგორ მიდის საქმეები ფაბრიკაში, სკაზოჩკინი შთამბეჭდავად ელაპარაკა მუშებზე და წარამტებებზე. ამ დროს სტალინმა თავისი ჩიბუხი ამოიღო და დატენა, მეორე მხერა ასანთისკენ გადაიტანა. სკაზოჩკინი მარდად წამოხტა და ჯიბიდან სანთებელა დააძრო.

– რაო, თქვენმა ფაბრიკამ სანთებლების გამოშვება დაიწყო? – ჰკითხა სტალინმა.

– არა, რასა ბრძანებთ, უწინდებურად ასანთებს ვუშვებთ, – რაღაც უსიამოვნების მოლოდინში, გულმა რეჩხი უყო დირექტორს.

– მე ასანთით მოკიდებას ვარ მიჩვეული, რადგან, სანთებელათი ჩიბუხის განაღება საკმაოდ მოუხერხებელია! – უთხრა სტალინმა.

– სკაზოჩკინმა სწრაფად აიღო ასანთი, მაგრამ არც პირველი, არც მეორე ასანთის ღერს ცეცხლი არ წაეკიდა. ბევრი იწვავდა, გაიოფლა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

– ასეთ ასანთს თქვენი ფაბრიკა უშვებს, ამხანაგო სკაზოჩკინ?

– სწორი ბრძანებაა, ამხანაგო სტალინ!

– გაიგეთ, რისთვის მოგწვიეთ? – ჩვეულებისამებრ მოჭუტა თვალი სტალინმა.

– გაიგეთ, ამხანაგო სტალინ, ახლავე გამოვასწორებთ მდგომარეობას!

– მაშინ, კარგად ბრძანდებოდეთ! – დაემშვიდობა სტუმარს სტალინი.

პოლპოლკოვნიკი

გ. ტუკოვი, სტალინის დაცვის წევრი

რას ამბობდნენ სტალინზე

"ის ყოველთვის სხვანაირი იყო. ლაპარაკობდა ზუსტად და პირდაპირ. მომესალმა მოკლე სხარტი რუსულით, ხელი მტკიცედ და თავაზიანად ჩამომართვა, თბილად მიღიმოდა და თითქოს შესანიშნავად გაწონასწორებულ გონიერ მანქანას ელაპარაკებოდი. სტალინმა იცოდა რა სურდა თვითონ, რა სჭირდებოდა რუსეთს და ფიქრობდა, რომ აუცილებლად უნდა გცოდნოდათ თქვენც..."

ფრანკლინ დელანო რუზველტი.

ათი საუკეთესო კლუბი "ატლეტიკო" მადრიდი, ესპანეთი

დაარსებულია 1903 წელს, სტადიონი: "ვისენტე კალდერონი-მან-სანარესი", 62.000 მაყურებელი, ესპანეთის ჩემპიონატის 9-გზის გაბარჯებული, 9-ჯერ აქვს აღებული ესპანეთის თასი. 1974 წელს დაეუფლა საკონტინენტ-თაშორის თასს, 1962 წელს გახდა ევროპის თასის მფლობელთა თასის მფლობელი.

შეიძლება ითქვას, რომ მადრიდის "ატლეტიკოს" დაბადებისას ქუდბელი დაეკარგა. იგი მუდმივად იდგა თავისი დიდი მეზობლის - მადრიდის "რეალის" ჩრდილში. მიუხედავად ამისა, მადრიდის "ატლეტიკო" მაინც იმკვიდრებს მყარ ადგილს ესპანეთის ფეხბურთის გრანდების სამეულში და სრული უფლება აქვს იამაყოს თავისი დიდი წარმატებებით საერთაშორისო არენაზე.

თავისი არსებობის მანძილზე საფეხბურთო კლუბ მადრიდის "ატლეტიკოს" არაერთი რთული ეტაპების და წინააღმდეგობების გადალახვა მოუხდა. 1930 წლის დასასრულს, როცა ესპანეთში ის-ის იყო დამთავრდა უმძიმესი სამოქალაქო ომი და ქვეყნის ყველა სასიცოცხლო დარგი ერთიანად დანგრეული იყო, მადრიდის "ატლეტიკო" იძულებული შეიქმნა, რომ სამხედრო-საპაერო ძალების სპორტულ კლუბს შეერთებოდა. ეს იყო, ამ დროისათვის საკმაოდ მდიდარი სპორტული ტრადიციების მქონე გუნდის ფიზიკური გადარჩენის ერთადერთი გზა, რადგან მაშინ, ესპანეთში შიმშილი მძინვარებდა და ფეხბურთი-

სათვის არავის ეცალა. თავად დიქტატორი ფრანკო სამხედრო პიროვნება გახლდათ, მაგრამ კარგად იცოდა სპორტის ფასი და შესაძლებლობის ფარგლებში დიდ დახმარებას უწევდა ესპანელ ფეხბურთელებს. ორმოციანი წლების მეორე ნახევარში, როცა ევროპის მეორე მსოფლიო ომის ქარტეხილებამც გადაუარეს, დაიწყო ესპანური ფეხბურთის აღორძინება. 1959 წელს მადრიდის "ატლეტიკოს" ცოტა დააკლდა, რომ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში გასულიყო, მაგრამ ნახევარფინალში მან მადრიდის "რეალთან" გამართული მატჩი წააგო. 1960 წელს მისმა დამფარველმა "რეალმა" დიდი გულმოდგინება გამოიჩინა მადრიდის "ატლეტიკოს" მიმართ და მას საკუთარ "სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონზე სამასპინძლო თამაშების ჩატარების უფლება დართო. ეს მოხდა იმიტომ, რომ მადრიდის "ატლეტიკოს" კუთვნილი სტადიონი კლუბის ხელმძღვანელობამ ახალი სპორტული კომპლექსის აშენებამდე გაყიდა. პირველ დიდ წარმატებას მადრიდის "ატლეტიკომ" მიაღწია 1962 წელს, როცა ევროპის თასის მფლობელთა თასი აიღო. ეს გახლდათ მართლაც დამსახურებული ჯილდო ფეხბურთის ისეთი დიდოსტატებისათვის, როგორებიც იყვნენ მარცხენა შუათავ-დამსხმელი ხოაკინ პერეირო და მისი პარტნიორი ამ ფლანგზე ენრიკე კოლარი. მაგრამ სტაბილურ გუნდად მადრიდის "ატლეტიკო" მხოლოდ 1970 წელს ჩამოყალიბდა, როცა მან შეიძინა არგენტინელი ფეხბურთელები რუბენ

უგო აილა და რამონ ერედია. 1974 წელს მადრიდის "ატლეტიკომ", როგორც იქნა აიხდინა დიდი ხნის ნანატრი ოცნება და ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში გავიდა. მიძიმე და დაძაბული იყო ფინალური მატჩი მიუნხენის "ბავარიასთან", იმდენად დრამატული, რომ ძირითადი დრო ფრედ დასრულდა და დამატებითი ორი ტაიმის დანიშვნა გახდა საჭირო. ბედი იმ დღეს მაინც არ სწყალობდა მადრიდის "ატლეტიკოს", რადგან მათ კი გაიტანეს გოლი გერმანელთა კარში, მაგრამ მოწინააღმდეგეებ ამას გოლით უპასუხა და მატჩი ფრედ დამთავრდა. როგორც ჩანს, მადრიდის "ატლეტიკომ" ამ მატჩს მთელი ძალები ჩააქსოვა, ამიტომ, ესპანელებმა განმეორებითი მატჩი გერმანელებთან წააგეს ანგარიშით 4:0, რის შედეგადაც მიუნხენის "ბავარია" ევროპის ჩემპიონთა თასს დაეუფლა.

ერთადერთ ნუგეშად მადრიდის "ატლეტიკოსათვის" იქცა ის, რომ მიუნხენის "ბავარიამ" უარი განაცხადა საკონტინენტთაშორის თასისასთვის გამართულ ტურნირზე და მის ნაცვლად თამაშის სურვილი ესპანელებმა გამოთქვეს. მათ არგენტინის "ინტერპენდენტსთან" მოუწიათ შეხვედრა. ზუსტად მატჩის წინა დღეებში მადრიდის "ატლეტიკოს" მწვრთნელად დაინიშნა ლუის არაგონესი, რომელიც ადრე ამავე გუნდში ნახევარმცველად თამაშობდა და ვინც ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში ერთი გოლი გაიტანა მიუნხენის "ბავარიას" კარში. ორი მატჩის წამში მადრიდის "ატლეტიკომ" არგენტინის "ინტერპენდენტს" დაამარცხა ანგარიშით 2:1 და საკონტინენტთაშორის თასს დაეუფლა, რის შედეგადაც მას ერთი წლის განმავლობაში მტკიცედ ეპყრათ ხელთ მსოფლიოს ნომერი პირველი საფეხ-

ბურთო კლუბის ტიტული. 1980 წლის დასასრულს ეს გუნდი შეიძინა მსხვილი საამშენებლო ფირმის მფლობელმა ხესუს პილამ. მან რამდენიმე მილიონი ფუნტი სტერლინგის ინვესტიცია გაიღო გუნდის აღორძინებისათვის, მაგრამ, როგორც ჩანს, გუნდს უკვე ამოწურული ჰქონდა თავისი პოტენციური შესაძლებლობები. ამიტომ, მილიონობით თანხის ხარჯვამ მადრიდის "ატლეტიკოს" რეალური შედეგი ვერ მოუტანა. ერთ-ერთი მიზეზი ის გახლდათ, რომ გუნდში ხშირად იცვლებოდნენ მწვრთნელები, რომლებიც მცირე პერიოდში ვერ ახერხებდნენ გუნდში საკუთარი სამწვრთნელო სტილის დამკვიდრებას.

ბოლო დიდ წარმატებას მადრიდის "ატლეტიკომ" მიაღწია 1996 წელს, როცა დუბლი გაიფორმა - გახდა ესპანეთის ჩემპიონი და დაეუფლა ესპანეთის საფეხბურთო თასს. ამის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ გუნდს ღირებული არაფერი გაუკეთებია, 2000 წელს კი საერთოდ გამოეთხოვა ესპანეთის უმაღლეს ლიგას და მეორე ეშელონში გადაინაცვლა.

გიორგი ჯალაღანია



იუმორი

- შენ და დედამ როგორ გაცივანით ერთმანეთი?
- სიმართლე გითხრა, არც ვაპირებდით ერთმანეთის გაცნობას. მე რე დედაშენი ჩემთან მოვიდა და მითხრა: დროა ერთმანეთი გავიცნოთ, რადგან შენ მალე მამა გახდებიო...

ზამთრის პირველი შეგონება: "ნუ დაიწყებთ ფიფქების ენით დაჭერას, თუ დარწმუნებული არ ხართ, რომ ყველა ჩიტი თბილ ქვეყნებში გაფრინდა..."

ყოფილი ცოლი ქმარს ურეკავს:
- ჩვენ თანამედროვე შეგნებული ადამიანები ვართ. წყენა უნდა დავეთხოვოთ, ერთმანეთს პატივი ვცეთ და მოვიკითხოთ-ხოლმე. აბა მითხარი, როგორ ხარ? ისევ ეწვი?
- აღარ.
- ხომ არ სვამ?
- არა!
- მაშინ დაბადების დღეზე გასაბერ ქალს გიყიდი.
- არააა! შენი დაბრუნება ნამდვილად არ მინდა!

- როდესაც ჩვენმა ბადროს მტყორცნელმა ბადროს მოიქნია და ისროლა, მთელმა სტადიონმა ამოიხრა, ერთმა კი ამოიხვრაც ვერ მოასწრო...

სიზმრების ასსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

ვაგრძელებთ ნაწევრების ბეჭდვას "ეფრემ ვერდის" წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიზმრების ასსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

- ყინული ნახო - ცუდია, ფათურაკში ჩავარდევ;
- ყვავილი ნახო - სიხარულია;
- ყიდვა რაიმე ნივთისა - კარგია და კეთილი;
- ყვირილის ხმა - სიწყნარე და სიმშვიდეა;
- ყავარჯნის ნახვა ან ხელში დაჭერა - კარგია;

- ყურძნის ნახვა - გაავდრდება;
- ყველი ჭამო - ცუდი საქმის ნიშანია;
- ყმაწვილის აყვანა ხელში - ავადმყოფობის ნიშანია;
- შეშის შეტანა, ყიდვა კარგია;
- შინაურს აკოცო - კეთილი და სიხარულია;
- შემოდგომის მოსავალი - ძალიან გამდიდრდე;
- შავ ცხენზე ან ჯორზე ჯდომა - ბედნიერებაა
- შემწვარი ხორცი ჭამო - ავადმყოფობაა.



გაზეთი "საქართველო და მსოფლიო" ერთ-ერთი ლიდერი ქართულ მედიასივრცეში! მისი ძირითადი კრედიტო - შეიძლება, ზოგჯერ ძალზე მწარე, მაგრამ მაინც სიმართლე, მხოლოდ სიმართლე! მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიუკერძოებელი ანალიზი, საინტერესო პუბლიკაციები, ინტერვიუები, პრობლემათა პროფესიული, ობიექტური ხედვა, პატრიოტული სულისკვეთება და მაღალი ზნეობისადმი სწრაფვა, მყარი მოქალაქეობრივი პოზიცია, პატრიოტიზმი, პრინციპულობა და არა სიჯიუტე, ახალგაზრდა თაობის სულიერი ფორმირების პროცესებში ღრმა წვდომა, შემეცნებითი ინფორმაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ფანტასტიკა და რეალობა... იდიასინკრაზია ყოველგვარი სიყვითლისა და იაფფასიანი სენსაციებისადმი!

ეს გაზეთი მხოლოდ სერიოზულ მკითხველზეა გათვლილი - არასერიოზულები და კულუარული იაფი ჭორ-ინტრიგების მოყვარულები ნუ გამოგვეხმაურებიან!

შეიძინეთ და იკითხეთ გაზეთი "საქართველო და მსოფლიო"!

ვაზის საოცარი ჯიშო

ფირმა "გამწვანება" კრწანის ვითარებით უნიკალური ჯიშის ვაზს, რომელსაც ჩვენი შორეული წინაპრები ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში აშენებდნენ ვარძაში ტერასებზე მოწყობილ ვენახებში. თეთრი და შავი ჯიშის ვაზი ისხამს 3-კილოგრამიან მტევნებს, და რაც მთავარია, ყინვა და გვალვამდე ჯიშის ვაზი ხარობს საქართველოს ნებისმიერ კუთხეში - სუბტროპიკული ზონით დაწყებული და ალპური ზონით დამთავრებული. მას არ ჭირდება შეწამლა, რთველობა კი შუა სექტემბერს არ სცილდება. ვაზს, რომელიც მოსავალს მესამე წელს იძლევა, არ ჭირდება მობარვა და სწორედ ამიტომაც დაარქვა ფირმის ხელმძღვანელმა ზურ თაბაგარმა "სამეფო" და "სათავადო", რადგან ამ წრის ხალხს ქეიფი უფრო ეხერხებოდა, ვიდრე ვენახის მოვლა.

ტელ. 72-05-06.
მის. - თბილისი, გორგასალის 52. შპს "გამწვანება" კრწანისი.

| | | | |
|---|---|---|---|
| <p>გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე</p> | <p>რედაქციის მისამართი: თბილისი, ზანდუკელის ქუჩა №1 სარეგ. №01018002930</p> | <p>მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია მთ. რედაქტორის მოადგილე: ლაშო ქობალია ტექნიკური რედაქტორი: მისაილ გოდრიშვილი გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია</p> | <p>anaklia@web.de e-mail: elisabetthal@yahoo.de ჩაქალაქის განთავსება 899-57-33-22 893-51-01-71 899-34-37-27</p> |
|---|---|---|---|